შიდა ქართლი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№28 (9.693)

8-15 აგვისტო 2015 წ.

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ვულოცავ დედოფლისწყაროელებს დღევანდელ დღეს -ელიაობას და დედოფლისწყაროობის დღესასწაულს. მიხარია, რომ წელს ეს ორი დღესასწაული, საეკლესიო და სახალხო, ერთ დღეს აღინიშნება. ჩემთვის განსაკუთრებულია ულამაზესი და უნიკალური ელიას მთა და სამლოცველო, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ათას ქარტეხილს გადაარჩინეს და დღემდე შემოგვინახეს. მეამაყება, რომ ჩვენ, მათი შთამომავლები ელიაობის შესანიშნავ ტრადიციას ვაგრძელებთ და ამ დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებთან ერთად დედოფლისწყაროში ვზეიმობთ. მინდა იცოდეთ, რომ ვუერთდები თქვენს ზეიმს!

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

გილოცავთ ელიაობას და დედოფლისწყაროობას ერთად! მიხარია და ამაყი ვარ, რომ „დედოფლისწყაროობის“ დაარსება ჩემი გამგებლობის დროს ჩემი ინიციატივით მოხდა. წმინდა ელია ჩვენი რაიონის მფარველია, მას გამორჩეული ადგილი უკავია დედოფლისწყაროელების ცხოვრებაში, სწორედ მას ავედრებდნენ ჩვენი წინაპრები მოსავალს და წვიმის მოსვლას შესთხოვდნენ. ასეა დღემდე. ელიას მთაზე საუკუნეების წინ აშენებული და დღეს აღდგენილი უფლის სახლიც, რომელიც მართლაც უნიკალურია, იმაზე მეტყველებს, რომ დედოფლისწყაროელები ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმინდა ელიას და თაყვანს სცემდნენ მას.

გილოცავთ ამ დღესასწაულებს- საეკლესიოს და საეროს ერთად, როგორც დედოფლისწყაროს ერთიანობის სიმბოლოს!

ირაკლი შიოლაშვილი - **კახეთის გუბერნატორი**

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ელიაობის დღესასწაულს და დედოფლისწყაროობას. მიმაჩნია, რომ ჩვენი რაიონი და მისი მოქალაქეები ნამდვილად იმსახურებენ, რომ ჰქონდეთ თავიანთი დღესასწაული. უკვე სამი წელია, რაც "დედოფლისწყაროობას" ჩაეყარა საფუძველი და აღვნიშნავთ მას ჩვენი რაიონის ღირსეულ და წარმატებულ მოქალაქეებთან ერთად, რომელთაც თავიანთი შრომით თითო აგური დადეს ჩვენი ქვეყნის მშენებლობისთვის. იმედი მაქვს, ეს ტრადიცია გაგრძელდება და კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება დედოფლისწყაროსთვის, რომელიც თავისი ისტორიის მანძილზე აღმოსავლეთის კარიბჭის როლს ასრულებდა საქართველოსთვის.

წმინდა ელია ყოველთვის იყო მფარველი დედოფლისწყაროელების. რაიონის მცხოვრებთა განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ წმინდანისადმი არცაა გასაკვირი, რადგან აგრარული რაიონისთვის მიწათმოქმედება მთავარი საქმიანობა გახლდათ. ელიის მთასთან დაკავშირებული ლეგენდაც ამაზე მეტყველებს. სწორედ ამიტომ ააშენა მთაზე მთელმა რაიონმა ტაძარი, სადაც ყოველწლიურად აღევლინება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა.

გილოცავთ ელიაობის დღესასწაულს, მისი მადლი ფარავდეს სრულიად საქართველოს და ჩვენს რაიონს!

ნიკოლოზ ჯანიაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ თითოეული ჩვენთაგანისათვის გამორჩეულად ძვირფას და საყვარელ დღესასწაულებს-ელიაობასა და დედოფლისწყაროობას. ადგილს, სადაც ვცხოვრობთ, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ამის მიუხედავად, დედოფლისწყარო დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად არსებობის მხოლოდ 50 წელს ითვლის. ასე რომ, შეიძლება ითქვას, წლევანდელი წელი საიუბილეოა. ჩვენი საამაყო წარსულის მქონე რაიონის დღეობა წელს ელიაობის დღესასწაულს დაემთხვა. ელიის მთა მხოლოდ ბუნების ძეგლი არ არის. მის შესახებ მრავალი მითი არსებობს. ერთერთის თანახმად, წინასწარმეტყველი ელია სწორედ ამ მთიდან ამაღლდა ზეცაში თავისი ცეცხლოვანი ეტლით. მნიშვნელოვანია , რომ დედოფლისწყარო მიწათმოქმედი რაიონია. ელია წინასწარმეტყველს კი სწორედ მიწის ნაყოფიერებისთვის ევედრებიან. მიუხედავად იმისა, რისი და როგორ გვწამს და გვჯერა, ეს ფაქტი ელიაობის დღესასწაულს მაინც განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. ელიის მთის წარმოშობაზე არსებობს სხვა უამრავი მითი თუ ლეგენდაც. ეს ყველაფერი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ადგილზე მცხოვრები ადამიანებისათვის მას ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა და ეს დღესაც ასეა. ელიაობის უძველესი ტრადიცია დროთა განმავლობაში სახალხო დღესასწაულად გადაიქცა, რელიგიური დატვირთვა მიიღო და მჭიდროდ შეერწყა ქრისტიანობას. თანამემამულეებო, გილოცავთ ამ ორ ულამაზეს დღესასწაულს-ელიაობასა და დედოფლისწყაროობას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლას, წარმატებებს, ხვავსა და ბარაქას. ელიის მადლი ფარავდეს დედოფლისწყაროსა და სრულიად საქართველოს!!!

ზვიად ჯავახიშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ედვარდი, ნათლია და სარწმუნოება

გვ.2

ტკივილისა და სიამაყის დღე

გვ.3

აგვისტოს გმირები

გვ.4-5

დაიმახსოვრეთ ეს სახელი- გიორგი გურაშვილი

გვ.6

C M Y K

ედვარდი, ნათლია და სარწმუნოება

ედვარდ ჩოვუშიანს გასულ წელს „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდება მიანიჭეს. ის რუსეთში ცხოვრობს და დაჯილდოვებაზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა, ამიტომ საჯაროდ დღემდე არსად გამოჩენილა. მასთან გასაუბრება გაზეთმა „შირაქმა“ ელიას მთაზე შეძლო. სწორედ მაშინ, როცა მისი ძალისხმევით დედოფლისწყაროში კიდევ ორი მოოქროვილი ჯვარი ჩამოაბრძანეს და ელიას მთის ტაძარზე აღმართეს. აღმართვის პროცესში ყველა დეტალს ემოციურად გულშემატკივრობდა და კმაყოფილების განცდაც ეტყობოდა.

რა სახის საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა ედვარდ ჩოვუშიანი, რატომ მოუხდა საქართველოს დატოვება და რას გეგმავს სამომავლოდ დედოფლისწყაროში, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ედვარდ ჩოვუშიანი: „ამჟამად მე რუსეთში ვცხოვრობ და მათთვისაც ძალიან საკვირველია, რომ სხვა ქვეყანაში ასეთ ქველმოქმედებას ვეწევი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემთვის ამ საქმიანობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ დავიბადე, აქ გავიზარდე და ესაა ჩემი მიწა წყალი. აქ მყავს ახლობლები, ბავშვობის მეგობრები. კარგად მახსოვს, სწორედ ამ ელიას მთის კალთაზე ვიზრდებოდი, ძალიან ხშირად ამოვდიოდით. ამიტომ, ახლა უკვე ვალდებულად ვთვლი, რომ ჩემი წვლილი შევიტანო ამ ადგილის განვითარებაში. თუმცა, სიმართლე გითხრათ, რასაც მე ვაკეთებ ამაზე კონკრეტულად საუბარი არ მიყვარს. მთავარია, რომ ჩემმა ბავშვობის მეგობრებმა, ახლობლებმა და ამხანაგებმა იციან, რა გამიკეთებია მშობლიური რაიონისთვის. სხვა ქალაქებშიც გამიკეთებია სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეები და დედოფლისწყაროშიც. საფრანგეთში, ბულგარეთში, სლოვენიაში და სხვაგან, უკვე 22 წელია ქრისტიანული ეკლესიებისთვის ჯვრებს ვამზადებ და ტაძრებს ვწირავ. ეს უკვე ჩემთვის 90-ე და 91-ე ჯვრებია.

– დიდი ხანია რუსეთში ცხოვრობთ და პირველად როდის დაუკავშირდით დედოფლისწყაროს, როგორ შედგა კომუნიკაცია, რომ ჯვრების გამოგზავნა გინდოდათ?

– თავდაპირველად შევიტყვე, რომ დედოფლისწყაროს ცენტრში შენდებოდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია და გადავწყვიტე, მისთვის გამომეგზავნა ჯვრები, რომლებიც დღესაც აღმართულია საკათედრო ტაძარზე. მაშინაც პირადად ჩამოვედი. იმხანად მშობლებიც ცოცხლები მყავდნენ და ამის გამო დედოფლისწყაროში წელიწადში ორჯერ ჩამოვდიოდი. ჩემი პოზიცია იყო, რომ რადგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ვგზავნიდი ჯვრებს, წარმოუდგენელი იყო დედოფლისწყაროში არ გამომეგზავნა. ამიტომაც აღარ დავაყოვნე და ჩანაფიქრი მალევე განვახორციელე. ორი რომ გამოვგზავნე, უკმარისობის განცდა მქონდა. შემდეგ მე და მამა პეტრემ ელიას მთაზე ახლადაღდგენილი ტაძარი მოვინახულეთ. ეს მთა ბავშვობიდან კარგად მახსოვს, აქ ხშირად მოვდიოდი და ვთამაშობდი და ვიცი, რომ აქ არც გზა იყო, არც ასასვლელი კიბე და კლდეების გარდა არაფერი არ იყო. ოდნავ ჩანდა საძირკველის ნაშთები. რაც მთავარია, აღფრთოვანებული ვიყავი იმით, რომ ამ მიუვალ ადგილზე ასეთი საოცარი ტაძრის აღდგენა მოხერხდა. ამ ოდენობის სამშენებლო მასალები ხელით ამოზიდეს, ტექნიკის დახმარების გარეშე ააგეს და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. ეს კი ნამდვილად დასაფასებელია. მამა პეტრესთან ერთად რომ შევხედე აღდგენილ ტაძარს, მამა პეტრეს ვუთხარი, კარგი იქნებოდა მოოქროვილი ჯვარი აღიმართოსო. ასე გაჩნდა სურვილი, ელიას ტაძრისთვისაც დამემზადებინა. იცით, რომ აქ ჯვრები კი იყო აღმართული, მაგრამ იმიტომ გამოვცვალეთ, რომ ჩვენს მიერ რუსეთიდან ჩამოტანილი ჯვრები ძველი ტექნოლოგიებით და გაცილებით უფრო ხარისხიანადაა დამზადებული. მაღალი ხარისხის ოქროთია მოოქროვილი და გარანტია აქვს მინიმუმ 100 წელი. საუკუნის შემდეგაც ასე იბრწყინებს და ეს იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი.

– ვიცი, რომ ქრისტიანად ძალიან გვიან მოინათლეთ, ერთ დროს ურწმუნო ადამიანის ასეთი რადიკალური ცვლილება რამ გამოიწვია?

– გეთანხმებით, საკმაოდ გვიან, 1993 წელს მივიღე ქრისტიანობა, ფეოდორ კონუხოვი მსოფლიოში ცნობილი მოგზაურია. ისაა ჩემი ნათლია და მასთან ერთად პირობა დავდეთ, რომლის მიხედვითაც მან მსოფლიოს შვიდი ყველაზე უმაღლესი წერტილი დალაშქრა, მე კი შვიდ უმაღლეს ადგილას დავაყენე ჯვარი. შემდეგ მერვე იყო, მეათე და ასე გაგრძელდა. მანამდე ურწმუნოდ ვცხოვრობდი. ძირითადი გავლენა ჩემს რწმენაზე სწორედ ჩემი ნათლიის დამოკიდებულებამ და მისმა საუბარმა მოახდინა. ნამდვილად მისი დამსახურებაა.

– კმაყოფილების განცდა რა დროს გაქვთ ხოლმე?

– როდესაც ჯვარი აღიმართება და გუმბათიდან მზის სხივებს ირეკლავს, როცა ზემოდან ბრწყინავს, ამ მომენტის დაფიქსირებისას და ფოტოგადაღებისას მაქვს კმაყოფილების განცდა. ეს ემოციურად ხდება, ვერ გეტყვით რატომ ვაკეთებ ამ ქველმოქმედებას, ჩემი მხარეა, მიყვარს და ვაკეთებ...

– მინდა გაიხსენოთ, რატომ დატოვეთ ჩვენი ქვეყანა და მშობლიური რაიონი, რა იყო რუსეთში წასვლის მიზეზი?

– ხელბურთს ვთამაშობდი საქართველოს ნაკრებში, მართლაც დიდ გმირებთან ერთად მიხდებოდა თამაში. შემდეგ 20 წლის რომ გავხდი საბჭოთა კავშირის გუნდში გამგზავნეს, ასე მოვხვდი რუსეთში. შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე ქალაქ ტვერში და ასე შემოვრჩი.

– საინტერესოა, აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?

– დაბრუნებული ვარ, არსად წავსულვარ, მე აქ სახლი მაქვს და ხშირად ჩამოვდივარ ხოლმე, მაგრამ ალბათ მომავალში უფრო მეტად უნდა ჩამოვიდე. ვაპირებ კიდევ ავაშენო დიდი სახლი. თუ მას ავაშენებ ცხადია ვაპირებ. შვილებიც ჩამოდიან ხოლმე, ბიჭი იყო ახლა და ჩამოვლენ-წავლენ... მარჯანიშვილის ქუჩაზე დავიბადე და სწორედ იქვე ვაპირებ აშენებას. ეს არის ჩემი სამამულო ფესვები.

– როცა გაიგეთ, რომ გასულ წელს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მოგენიჭათ, რა განცდა იყო?

– ძალიან კმაყოფილი ვიყავი... სრულიად მესმის, რომ ეს წოდება დიდი სიყვარულით და დაფასების მიზნით მომცეს და მართლა დიდი პატივია ჩემთვის, რომ უცხო ქვეყანაში ვცხოვრობ და აქ დამასახელეს, ცხადია გამიხარდა.

– მხოლოდ ჯვრებით შემოიფარგლება თქვენი ქველმოქმედება თუ...

– 30 წელია მე მეცენატი ვარ და სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობას ვეწევი. ამას რა თქმა უნდა, არ ვითვლი. არ მინდა ამაზე დეტალურად საუბარი.

– საინტერესოა, უახლოეს მომავალში კიდევ რას გეგმავთ მშობლიურ რაიონში?

– კიდევ დამზადებული მაქვს ორი ჯვარი, ამაზე დიდი ზომის, რომლებიც სოფელ სამრეკლოში სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრისთვის მზადდება და რამდენიმე თვეში ჩამოვიტანთ. თითქმის ორჯერ დიდი ზომისაა და თუ ახლა თვითმფრინავით გადმოტანა მოვახერხეთ, ალბათ შემდეგში ვეღარ შევძლებთ, რადგან თითო ჯვარი 120 კილოგრამზე მეტს იწონის და პრობლემა იქნება. ერთი წლის წინ დავიწყე იმ ორი ჯვარის დამზადება, თითქმის დასრულებულია.

– 1 აგვისტოს სერაფიმე საროველის ხსენების დღე აღინიშნება და მომავალ წელს ამ დროისთვის მოხერხდება ჯვრების ჩამობრძანება?

– კი, აუცილებლად მოესწრება, რადგან ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. მხოლოდ მოოქროვების პროცესი დარჩა და შემდეგ უკვე ტრანსპორტირებაზე ვიფიქრებთ. რუსეთში მზადდება, ჩემი საამქროა, რომელსაც წლებია ვამუშავებ და უამრავ ეკლესიას ვაჩუქეთ ჯვრები. გარდა ამისა, სხვა კერძო დაკვეთებიც გვაქვს და სხვადასხვა საგნებს ვამზადებთ. პირადად ჩემი ხელით არ მზადდება, მაგრამ ფინანსურ მხარეს ვუზრუნველყოფ.

– ამხელა გზაზე ასეთი ნივთების ტრანსპორტირება და საბაჟოზე გადმოტანა პრობლემებს არ გიქმნით?

– აბსოლუტურად ყველაფერია პრობლემა. რადგან ოქროთია დაფარული, ეს ხშირად გვაფერხებს. კულტურის სამინისტროში მიწევს დოკუმენტების გაკეთება, რომ ეს სუფთა ოქრო არ არის, აეროპორტშიც არის ხოლმე პრობლემები. მეკითხებიან ხოლმე სად მიმაქვს და რატომ მიმაქვს. მერე ვუხსნით, რომ ქრისტიანულ ტაძრებს ვჩუქნი. სხვა დროს უფრო მეტ პრობლემებს გვიქმნიდნენ და საზღვარზე გვაფერხებდნენ, წელს რატომღაც იოლად გადმოვედით. ავუხსენი, რომ შესაწირი იყო და ადვილად გამომატარეს. გასაკვირია, არც საბუთი მომთხოვეს, არც არაფერი. შეიძლება ელიაობა რომ იყო და ჩამოსვლა უნდა მოგვესწრო, ღვთის მადლით ასე მოხდა, ჩამოვუსწარით და ზუსტად ელიაობის წინა დღეს მოვახერხეთ ჯვრების აღმართვა ელიას მთაზე სამრეკლოსა და მონასტერზე.

ილია მარტყოფლიშვილი

ტრაგიკული შემთხვევები დედოფლისწყაროში

უბედური შემთხვევის შედეგად დედოფლისწყაროში, სოფელ საბათლოს ტერიტორიაზე მდინარე ალაზანში 49 წლის მამაკაცი დაიხრჩო. **ილია ქადაგიძე** მდინარეში თევზაობის დროს შევიდა, რა დროსაც წყალმა წაიღო. მისი გადარჩენა ძმამ და მეგობრებმა სცადეს, თუმცა უშედეგოდ. შემთხვევა 30 ივლისს, გამთენიისას მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძებნაში ჯერ ადგილობრივი მაშველები ჩაერთვნენ, შემდეგ კახეთის რეგიონალური სამაშველო სამსახური, გარდაცვლილის პოვნა მაინც ვერ ხერხდებოდა. როგორც სამაშველო სამსახურში აცხადებენ, სამძებრო სამუშაოებს მდინარის სწრაფი დინება აფერხებდა. მოგვიანებით, მყვინთავების და მაშველების გამოძახება თბილისიდან გახდა საჭირო. პროცესში სოფელ საბათლოს მოსახლეობაც იყო ჩართული. სწორედ ადგილობრივების დახმატებით ცხედარის პოვნა მეორე დღეს მოხერხდა. თვითმხილველების ცნობით, გვამი იმავე ადგილას იყო ჩაძირული, სადაც მამაკაცი დაიხრჩო.

ცხედარი ექსპერტიზის ჩასატარებლად თბილისში გადაასვენეს. გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცს გულმა უმტყუვნა და გარდაცვალების მიზეზიც სავარაუდოდ, ეს გახდა.

გარდაცვლილი მუდმივად ნადირობითა და თევზაობით იყო დაკავებული. უბედური შემთხვევაც იმ დროს მოხდა, როდესაც მეგობრებთან ერთად სანადიროდ იყო წასული.

„ძალიან მეგობრული და კეთილი ადამიანი იყო, ყველას გული გვატკინა მისმა სიკვდილმა. მასთან ძალიან ახლოს ვიყავი. დედოფლისწყაროში ხშირად ჩამოვდიოდი, ერთად ვნადირობდით ხოლმე. ქეიფის და სიკეთის კეთების მოყვარული კაცი იყო. ამასთან ერთად საოცარი ბიზნესპარტნიორი იყო. ყოველთვის მქონდა მისი იმედი და თუ რამ გამიჭირდებოდა მუდმივად მას ვურეკავდი და გვერდში დგომაც იცოდა. სამწუხაროა, რომ ასე ნაადრევად წავიდა,“ – აღნიშნა პარლამენტარმა გოგი თოფაძემ.

მამაკაცს მეუღლე და ორი შვილი დარჩა.

ამას გარდა, 31 ივლისს კიდევ ერთი ტრაგედია მოხდა დედოფლისწყაროში. სოფელ არხილოსკალოში გვიან ღამით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სოფელ ზემო ქედში მცხოვრები 35 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.

ადგილობრივების განმარტებით, სწრაფად მიმავალი ავტომანქანა, სადაც სამი მამაკაცი იჯდა მოსახვევში სამჯერ ამობრუნდა. მათი თქმით, სოფელ არხილოსკალოს ბოლოს ქვემო ქედის შესასვლელში ძალიან ცუდი მოსახვევია... როგორც არხილოსკალოში ამბობენ, ავტომანქანა მოსახვევში მაღალი სიჩქარით შევიდა და სამჯერ გადატრიალდა... სხვები გადმოცვივდნენ მძღოლი კი გაიჭედა.

როგორც დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ხათუნა ზურიკაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი საავადმყოფოში ღამის სამ საათზე შევიდა, სტაციონარში შემოყვანისას მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო.

დანარჩენ ორი მგზავრს დაზიანებები არ აღენიშნებოდა. გარდაცვლილს მეუღლე და ორი შვილი დარჩა.

ილია მარტყოფლიშვილი

ომის ღია ჭრილობა

გამთენიისას საშინელმა, გამაყრუებელმა გრუხუნმა გამაღვიძა. ძილ-ბურანში მყოფმა კარგად ვერ გავაცნობიერე, რა ხდებოდა... გარეთ გამოვედი. მეზობლები უკვე ნამძინარევი, დაზაფრული სახეებით მაღლა, ზეცაში იყურებოდნენ, რომელსაც თვითმფრინავები ჯერ ისევ სერავდნენ. "შირაქის აეროდრომი დაბომბეს, საშინელი ხმა იყო... არავინ იცის, იქნებ მსხვერპლიც

აგვისტოს ომ

ცხელი აგვისტო გრძელდება... გთავაზობთ ამ ომში დაღუპული გმირების ისტორიებს, რომელებიც გაზეთმა "პრაიმ ტაიმმა" წიგნად დაბეჭდა და „გმირები" უწოდა. ისინი, მართლაც, სამშობლოს შეწირული გმირები არიან...

გიორგი აბიათარი



„ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართ!" — ასე დაუძახებენ დედებს გიორგი აბიათარი და გოჩა ილურიძე ჯარში წასვლისას, უკვე სამარშრუტო ტაქსიდან...

გიორგი აბიათარი დედისერთაა, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ეხება. 18 წელი შეუსრულდება თუ არა, მაინც წავა...

2 თვეც არ იმსახურებს — ომი დაიწყება. მუხლზე პრობლემები ჰქონდა, ომში არ მიჰყავთ, კომისია უნდა გაიაროო. პირველი მანქანიდან ჩამოსვამენ. მეორე მანქანაში ავა და ომში მაინც წავა...

გიორგი აბიათარი კოჯორში დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, იზრდებოდა დედოფლის წყაროს რაიონში, სოფელ ჯაფარიძეში. დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია. დედისერთა იყო, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ვერ ანებივრებდნენ.

ლიზა აბიათარი, დედა: „შრომა უყვარდა, დაუზარელი იყო, მუდამ გვერდში მედგა, დიდი ადამიანივით შრომობდა, რომ წამოიზარდა ცული აიღო ხელში, მეზობლებს შეშის ჩეხვაში ეხმარებოდა, ერთი-ორი კაპიკი რომ დარჩენოდა... ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები...

უყვარდა ფეხბურთი, ჭიდაობა... ხშირად უყურებდა სათავგადასავლო ფილმებს, ამბობდა, მე სიკვდილის არ მეშინია და აუცილებლად უნდა წავიდე ჯარშიო..."

გიორგი აბიათარმა 9 კლასის დამთავრების შემდეგ, კოლეჯში ჩააბარა მექანიზაციის ფაკულტეტზე.

2008 წლის 5 აპრილს გიორგის 18 წელი შეუსრულდა.

დედა: „ძალიან მინდოდა მისი დაბადების დღე რომ აღმენიშნა, აღვნიშნეთ, მაგრამ ბევრის დაპატიჟება ვერ შევძელი და მოვუბოდიშე, ყველა ვერ დაგიპატიჟე-მეთქი. მომეხვია, მერე რა მოხდა, 19 წლის თუ სამხედრო ნაწილში გავხდები, 20 წლის ხომ სახლში ვიქნები და მაშინ გადავიხადოთ დიდი დაბადების დღეო..."

დედამ გადაუხადა დაპირებული დიდი დაბადების დღე, ყველა იყო — თანაკლასელები, ნათესავები, ჯარის მეგობრები. აღარ იყო გიორგი... გიორგი ვეღარც 19 წლის გახდა, ვეღარც ოცის...

დედისერთას ჯარში წასვლა არ ეხებოდა, მაინც წავიდა.

დედა: დედისერთა იყო ჯარში არ მიჰყავდათ, მისი კლასელები მიდიოდნენ და ამბობდა, მეც აუცილებლად უნდა წავიდეო და წავიდა თავისი ინიციატივით. გოჩა ილურიძესთან ერთად იყო სამარშრუტო ტაქსში, ფანჯარა გააღეს და დაგვიძახეს, ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართო. 27 მაისს წავიდა ჯარში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში იყვნენ, კარანტინს როდესაც მორჩნენ, მკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში გადავიდე თუ დაცვაში დავრჩეო. ნათესავებსაც ჰკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში ურჩიეს. კრწანისში მსახურობდა. ყოველ შაბათ-კვირას ვაკითხავდი, არასოდეს დაუწუწუნია, მაშინაც კი, როცა მუხლზე პრობლემები შეექმნა. 27 ივლისს ღუდუშაურის კლინიკაში მყავდა, მისი მდგომარეობა რომ ნახეს, უთხრეს სამსახურიდან გაგიშვებთო. უარი თქვა, სამსახურს არ მივატოვებ, უბრალოდ, ცოტა ხანი დრო მომეცით, რომ ვიმკურნალოო. 9 აგვისტოს კომისია უნდა ყოფილიყო, უნდა გამოეშვათ... კარგი უფროსობა ჰყავდა, ყურადღებას აქცევდნენ... ბოლოს მაშინ ვნახე, 27 ივლისს, ღუდუშაურის კლინიკაში რომ მყავდა... მთელი დღე ხელი ჰქონდა გადახვეული და მიყვარხარო, მიმეორებდა... რომ გამომაცილა, ჩამეხუტა და ისე დამემშვიდობა.... მას მერე მისი ხმა აღარ გამიგია... 2 აგვისტოს ილიაობაა და მითხრა, შენ ნუღარ ჩამოხვალ, დედი, მე ჩამოვალო...

ომში რომ მიდიოდნენ, გიორგი არ მიჰყავდათ, მანქანიდან ჩამოუსვამთ, შემოწმება გაქვს გასავლელიო, მაგრამ მანქანაში მაინც ასულა, შემდეგ უკვე გორში უნახავთ, ტყვია-წამალს რომ ურიგებდნენ".

გიორგი აბიათარი 8 აგვისტოს, ერედვში დაიღუპა – მტრის ჩამოგდებულმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

ელიკო ზედელაშვილი, მასწავლებელი: „გიორგი ცელქი, დაუდეგარი, უსაზღვროდ კაცთმოყვარე, მეგობრებისთვის თავგანწირული ბიჭი იყო. ისტორიკოსობაზე ოცნებობდა და ძალიან ბევრს კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა იყო, სრულებითაც არ იყო ჩაკეტილი. ტრიალებდა ყველგან, სკოლაში, მეგობრებში, მეზობლებში. ბოლო შეხვედრისას დიდი სიყვარულით და სიამაყით მითხრა: მე ჯარში წავედიო. მე კი გავეხუმრე: მაშ მშვიდად ვიყო გიორგიმეთქი? დიახ, გჯეროდეთ ჩემიო. დავიჯერე გიორგი, დავიჯერე..."

დედა: „მისი თანაკლასელი, ხვიჩა ქოქუაშვილი გიორგისთან ერთად იყო ომში, ის მიყვებოდა, ერედვში, ზოგი მაღლობზე ყოფილან, ზოგი ქვემოთ. ცოტა ხნით ჩრდილში ისვენებდნენ. მაღლობზე მყოფებს რომ დაუნახავთ, თვითმფრინავები მოდიანო, დაუძახიათ, დაწექითო. დაწოლილან, მაგრამ კასეტური ბომბი ჩამოვარდნისთანავე არ აფეთქებულა, ბიჭები წამომხტარან და აფეთქებულა კიდეც... 4 ბიჭი იყო ერთად და ოთხივე ამ ბომბმა იმსხვერპლა. ბიჭებს რომ დაუნახავთ, გამოქცეულან საშველად, ჩემი გიორგი უკვე გარდაცვლილი ყოფილა..."

დედის გულმა იგრძნო თავს დამტყდარი უბედურება.

„რაღაცას ვგრძნობდი, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. სულ ტელევიზორს მივჩერებოდი, იქნებ რამე გამეგო, ხან ხვიჩას დედასთან ავდიოდი, იქნებ იმან გაიგო რამე-მეთქი, სადაც ხალხს დავინახავდი შეკრებილს, იქ მივდიოდი, ჩემს დანახვაზე იშლებოდნენ... მიკვირდა რა ჭირთ-მეთქი, მეზობელთან მივედი, გიორგის ვერ ვუკავშირდები, გამომყევი, ბილაინის ბარათი მაყიდინე, დამეხმარე-მეთქი, ეს რომ ვთხოვე, მეზობელმა ზურგი შემაქცია, მეორე მეზობელს უთხრა: წაიყვანეო... თურმე ყველამ იცოდა ჩემი უბედურება, სოფელში მოსულან და უთქვამთ, როგორ მივიდეთ დედამისთანო... როგორმე უნდა გავაგებინოთო. ჩემს დისშვილთან მისულან, ჩემ დასთან... მეზობლები შინ არ მიშვებდნენ, მარტო არ მტოვებდნენ... ჩემი მეუღლე მოვიდა მერე, დაიხარა, მაკოცა. გამიკვირდა, რა მოუვიდა-მეთქი. ჩემს მეუღლეს უკვე სცოდნია რომ შვილი აღარა გვყავს... მითხრა, წადი სახლში, მეც მალე მოვალო. მივედი სახლში, ჩემი და ჩამოიყვანეს, ჩემმა დამ სახლში შემიყვანა, ჩემმა დისშვილმა შემომაპარა, გიორგი დაჭრილიაო... 11 საათზე დარეკავენ და გვეტყვიან სიმართლესო. თურმე 11 საათს ელოდებიან, რომ მოასვენონ გიორგი. მთელი სოფელი ჩემთან სახლში იყო, მთელი სოფელი ფეხზე იდგა, ერთად მოასვენეს ჩემი შვილი და ილურიძე...

14 აგვისტოს დავკრძალეთ ჯაფარიძეში. ბიჭები ხშირად ადიან გიორგის საფლავზე... ძალიან რთულია და გაუსაძლისი გიორგის გარეშე ცხოვრება.

ძალიან უნდოდა, რომ სამხედრო ბილეთი მალე აეღო და სასაზღვრო პოლიციაში დაეწყო მუშაობა, ძალიან უნდოდა, რომ ფორმა სცმოდა... ძალიან თბილი და კარგი დედაშვილობა გვქონდა. შვილი რომ მეყოლება აუცილებლად შენი სახელი უნდა დავარქვაო, მპირდებოდა...

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. რაიონის ცენტრში გაკეთდა მემორიალური დაფა და მოედანი, რომელსაც „სამშობლოსთვის თავდადებულის" სახელი დაერქვა...

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მენატრება ჩემი შვილი... ერთადერთი ისღა მაცოცხლებს, რომ მისი სულისთვის ვილოცო. მე გამწარებული, მაგრამ მაინც ამაყი დედა ვარ, რადგან გმირი გამიზრდია.

თეიმურაზ ბერიძე

შინდისში მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სნაიპერმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გმირმა ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თემურ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამიზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვიტოს კი შინდისში დაეცა.

ფუტკარაძე მანანა, მეუღლე:

„ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსულიო, თუმცა ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეო... თურმე ალყაში იყო, შინდისში, ზოიძემ და მისმა ნათლიამ, რომ აიფეთქეს თავი იმ ტერიტორიაზე. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მძიმედ დაჭრილი ყოფილა და კვდებოდაო... რკინიგზასთან ახლოს დაღუპულა.

მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრჩობს, როცა იხსენებს: „ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი თავიდანვე მომეწონა, შევქმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლინახევრის რომ იყო, ბავშვს წნევამ დაარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილებთან სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც.

კონტრაქტზე შესვლა 2006 წელს გადაწყვიტრა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულიანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მაშინვე სენაკში გადაანაწილეს. მეორე ქვეით ბრიგადაში იყო. წოდებით კაპრალი.

მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღლილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს, რომ დავამთავრებ კიდევ უნდა გავაგრძელოო, მაგრამ ისიც ვერ დაამთავრა და დაგვტოვა მარტო...

სანამ ომი დაიწყებოდა ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე,

(გაგრძელება გვ.5)

ის გმირები

გოჩა ილურიძე

გოჩა ილურიძე სულ 18 წლის ბიჭი იყო სამშობლოს დასაცავად რომ გაიწვიეს და წავიდა ჯარში, უფროს ძმას რჩევაც ჰკითხა, კონტრაქტი ხომ არ გავაფორმოო. ძმამ სპეცნაზში შესვლა ურჩია. შევიდა.

მტერმა მხოლოდ 2 თვე მისცა... და არც დიდი სიყვარულის მოსვლა აცადა, რომელსაც ელოდა...

ომი დაიწყო...

8 აგვისტო. ერედვი. სპეცრაზმელები ჩრდილში ისვენებენ. გადაღლილები არიან, ორი დღეა ფეხით მოდიან. გადაქანცულებს იმედი უნთებთ გულებს – იმედი გამარჯვებისა. კასეტური ბომბი... რამდენიმე წამი... აფეთქება...

გოჩა იქვე, იმ წამსვე დაიღუპა...

გოჩა ილურიძე 1990 წლის 14 თებერვალს დაიბადა. იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ზემო ქედში.

მანანა ყაბანაშვილი, დედა: „ძალიან სერიოზული ბავშვი იყო, ჭკვიანი, შრომის მოყვარე, ერთი წუთი ვერ ჩერდებოდა, სულ შრომობდა და რაღაცას აკეთებდა. უყვარდა სპორტი, ჭიდაობაზე სიარული უნდოდა, ვერ ვატარეთ... ვერ შევუწყეთ ხელი.... თავისით ვარჯიშობდა სახლში, „გირებით“, „ტურნიკზე“... რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, მაინც გამონახავდა დროს და რამდენიმე წუთი ვარჯიშობდა. სწავლით საშუალოდ სწავლობდა, სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება არ უფიქრია. ჯარში უნდოდა წასვლა, ჩემი უფროსი ბიჭი ვაზიანში მსახურობს, კონტრაქტორია და მის შემხედვარეს, გოჩასაც თავიდანვე განზრახული ჰქონდა, სავალდებულოს მოხდის მერე, ჯარში დარჩენა კონტრაქტზე. ძალიან მშრომელი იყო. არაფერს თაკილობდა, ორთაჭალაში ციხეებს რომ ანგრევდნენ, იქაც მუშაობდა. სოფელში ჯართზე მუშაობდა. თავისი ორი კაპიკი ყოველთვის ჰქონდა. ის კი არა, ჩვენც გვარჩენდა თავისი შემოსავლით...“

2008 წლის 14 თებერვალს გოჩა 18 წლის გახდა და მალევე გაიწვიეს კიდეც ჯარში.

„25 მაისს მოუვიდა უწყება, მე სამუშაოდ ვიყავი წასული და სამსახურში ჩამომაკითხა, უწყება მომიტანეს და უნდა წავიდეო. იმ დღეს მისი დეიდაშვილის დაბადების დღე იყო და თელავში მიდიოდა. მითხრა: თელავში წავალ, 26-ში მამიდასთან მივალ რაიონში და იქიდან წავალ პირდაპირ ჯარშიო. წავიდა დაბადების დღეზე, მოილხინა. გულმა არ მომითმინა, ბავშვი ჯარში რომ წაიყვანონ, როგორ არ უნდა გავაცილო მეთქი, 27 მაისს დილაუთენია კომისარიატში ჩავედი, იქ ველოდებოდი. ცოტა დაიგვიანა, ძალიან დაღონებული მოვიდა. გადაუღეს სურათები და „მარშრუტკაში“ რომ ჯდებოდა, გადამეხვია, დამკოცნა და გამომემშვიდობა. ძალიან დაღონებული იყო. რა ვიცოდი, რომ ჩემს შვილს ცოცხალს უკანასკნელად ვხედავდი...

ერთი თვე ქუთაისში, გეგუთის ნაწილში ჰყავდათ. ფიცი, რომ მიიღეს, იქიდან კრწანისში გადაიყვანეს, სპეცდანიშნულების რაზმში.

ძმისთვის უკითხავს, კონტრაქტზე ხომ არ გადავიდეო. ძმამ ურჩია სპეცნაზში გადადიო... სულ ორი თვე იმსახურა ქვეყნის დასაცავად და მის თავისუფლებას შეეწირა...

მისი მეთაური ამბობს, საამაყო ჯარისკაცი მყავდაო. გამოვიყვანდი ხოლმე დავაყენებდი და სხვა ჯარისკაცებს მივმართავდი, მიბაძეთ ამ კაცს და იყავით ასეთი ვაჟკაცები, როგორიც გოჩააო...

ხშირად ველაპარაკებოდით ტელეფონზე, ძალიან მოსწონდა ჯარში ყოფნა,

ვარჯიშობდა და თავს კარგად გრძნობდა. ერთხელ მითხრა: სირბილში მეორე ადგილი ავიღეო...

ბოლოს 6 აგვისტოს ველაპარაკე, დაგვიმალა, მომატყუა მარნეულში ვართ ნაწილში, ვვარჯიშობთო. ჩვეულებრივ გველაპარაკა, არაფერი ისეთი არ უთქვამს, რომ რამეზე დავეჭვებულიყავი. უთქმელი ბავშვი იყო, არაფრის თქმა არ უყვარდა... რაც ჯარში წავიდა მას მერე აღარ მინახავს...''

დაიწყო აგვისტოს ომი. გოჩაც და მისი უფროსი ძმაც ომში იბრძოდნენ, დედა დაკავშირებას ვერ ახერხებდა ომში წასულ შვილებთან.

„ვერაფრით ვუკავშირდებოდი ბიჭებს, ომი იყო და 2 შვილი სად მყავდა არ ვიცოდი. 9 აგვისტოს გოჩას უსულო სხეული მომიტანეს სახლში, დედა მოუკვდეს...

7 აგვისტოს გორში ჩაუყვანიათ და შემდეგ ერედვში შესულან.

ორი დღე და ღამე ფეხით უვლიათ და დასასვენებლად ხის ჩრდილში გაჩერებულან, მეთაურებს უთქვამთ, დაისვენეთ ცოტა ხანიო. მაგ დროს დაწყებულა დაბომბვა... ზოგი წამომჯდარი ყოფილა, ზოგიც წამოწოლილი, კასეტური ბომბი, რომ ჩამოუგდია თვითმფრინავს, რამდენიმე წამი რომ გასულა, მერე აფეთქებულა, ვინც ფეხზე წამომდგარა, ძირითადად ისინი დაიღუპნენ და დაიჭრნენ... გოჩა მაშინვე დაღუპულა, მარჯვენა ფერდში ჰქონდა ჭრილობა, მეორე მხარეს გადიოდა... ამ დროს უფროსი ბიჭი უკვე ცხინვალში იყო. არც ის გვეუბნებოდა სად იყო... ერთმანეთი ვერ უნახავთ, ვერც ვერაფრით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს...“

გოჩას დაღუპვის ამბავი გამგეობას შეატყობინეს, მაგრამ ვერავინ ბედავდა ეთქვა დედისთვის — შვილი აღარ გყავსო.

დედა: „მთელი დღე არაფერს მეუბნებოდნენ, შებინდებისას მთელი ეზო გაივსო... ჩემს თავს რომ უბედურება ტრიალებდა, მივხვდი, ვერავინ მიბედავდა თქმას, მე უფროს ბიჭზე ვფიქრობდი, გიორგის ხომ არ დაემართა-მეთქი რამე. გოჩაზე ერთი წამით ცუდი არ მიფიქრია...

უამრავი ხალხი იყო ჩვენს ეზოში, არ მეუბნებოდნენ სახელს, რომელი დაიღუპა... მერე ჩემმა ნათლიამ მითხრა: გოჩა აღარ გყავთო... გიორგის 10 აგვისტოს გავაგებინეთ ძმის დაღუპვა, ბიძამ დაურეკა და ჩამოიყვანეს. 14 აგვისტოს დავკრძალეთ გოჩა...

არ გადის წუთი და წამი, რომ თვალწინ მისი სახე არ მედგას...

პატარა ძმას შეისვამდა მოლმე კისერზე და დაატარებდა. ძალიან ათამამებდა, მიჰყავდა მაღაზიაში, ტანსაცმელს და კანფეტებს ყიდულობდა...

ამბობდა სიყვარულის დღეს ვარ დაბადებული და დიდი სიყვარული მენვევაო. შეყვარებული არ ჰყავდა, ერთი გოგო მოსწონდა, მაგრამ არაფერს ამბობდა ჩვენთან. მისმა მეგობრებმა გვითხრეს მერე...

მორიდებული და უთქმელი ბიჭი იყო, მისი ზემდეგი ამბობს, მე გოჩას თვალები არ მახსოვს, სულ თავჩაღუნული იდგა და ისე ლაპარაკობდაო...

ხათრიანი ბიჭი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი. კლასელები იხსენებენ, ჩხუბში რომ ვიყავით და გოჩას დავინახავდით, უკვე აღარ გვეშინოდაო. გამხდარი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი...“

ანა ყაბანაშვილი, გოჩას ბებია: „6 წლიდან ჩემთან იზრდებოდა. წესიერი და ზრდილობიანი ბავშვი იყო, ძალიან უთქმელი, ბაბო მოუკვდეს... დაუზარელი იყო, ვინმეს რამე რომ ეთხოვა, უარს არავის ეუბნებოდა... მშრომელი ბიჭი იყო, მეხმარებოდა, დამიბარავდა, დამითესავდა ხოლმე... ძალიან უჭირდათ და თუ კი სადმე სამუშაო იყო, ყველგან მიდიოდა და არაფერს თაკილობდა. დაკოჟრილი ხელები ჰქონდა... ჯარში ისე წავიდა, რომ ვერ მოასწრო ბოლოს ჩემი ნახვა... ადრე ვეუბნებოდი, გოჩა ჯარში, რომ წახვალ, როდისღა მნახავ, ცოცხალს მომისწრებ-მეთქი? გახმეს ჩემი ენა... ბაბო, ერთი წელი ისე მალე გაივლის, რომ ნუ გეშინია, არაფერი დაგემართებაო...“

მზია ყაბანაშვილი, გოჩას ბიცოლა: „ჯარში წასვლამდე ჩვენთან იყო ამოსული, თვეების შვილიშვილი მყავს, გიჟდებოდა ბავშვზე. მთელი დღე ხელში ეჭირა და დაატარებდა...

ძალიან წყნარი, ზრდილობიანი, უთქმელი ბიჭი იყო, რომ ვკითხავდი, ხომ არ გშიამეთქი, არაო, ყოველთვის ამას მეუბნებოდა...

10 აგვისტოს ჩემი გარდაცვლილი მეუღლის დაბადების დღისთვის სუფრას ვამზადებდით. ამ სამზადისში ვიყავით, უბანში საშინელი სიჩქარით შემოვარდა მანქანა, ხმამაღლა ეძახდნენ ჩემს ბიჭს, გიას. გია გარეთ გავარდა. ჩაისვეს მანქანაში და წავიდნენ. გული გამისკდა, ვერ მივხვდი ვინ იყვნენ, რატომ ჩაისვეს ჩემი შვილი და სად წაიყვანეს... შეშინებული სირბილით გავეკიდე მანქანას. მეორე უბანში გაჩერებულ მანქანას მივადექი. შორიდან ჩემი შვილის ბღავილი შემომესმა... გავქვავდი, როგორ მივედი მანქანამდე აღარ მახსოვს... კარები რომ გამოვაღე, გია უკვე ისტერიკაში იყო ჩავარდნილი. მარტო ვაიმეს ყვიროდა... ყველა გადმოვიდა მანქანიდან და დაწყნარება დამიწყეს... მზია დეიდა, გოჩა დაღუპულაო... უბედურება დაგვატყდა თავს...“

გოჩას მშობლიურ სოფელში, ყოველ 9 აგვისტოს, გოჩას სახელობის ტურნირს ატარებენ ფეხბურთში...

თეიმურაზ ბერიძე

(მეოთხე გვერდიდან)

ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცილე. სახლიდან, რომ გადიოდა, ორჯერ შემოტრიალდა. ბავშვები ჩაკოცნა და მეც გამომემშვიდობა. ორ დღეში დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალით აღარ მინახავს...

ბოლო პერიოდში ძალიან ჩაფიქრებული იყო, რომ ვეკითხებოდი რატომ ხარ ასემეთქი არაფერიაო, მპასუხობდა. არაფერს ამბობდა... მეც საერთოდ არაფერს მიგრძნობდა გული, ცუდზეც არ ვფიქრობდი, სანამ ომი დაიწყებოდა, მაგრამ ომი რომ დაიწყო, მერე ძალიან შემეშინდა და რაღაც საშიშროება ვიგრძენი.

ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე და 9 აგვისტოს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, „სამშვიდობოს ვარო“-თურმე მტრის ალყაში ყოფილა.

გიჟივით დავიწყე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ვეღარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლამეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრიარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაყვანად, ჩემი მეუღლეც მაშინ გადმოასვენეს. მალევე ამოიცნეს და პირდაპირ კახეთში ჩამოასვენეს.

არ არსებობს ღამე, რომ სიზმარში არ ვნახო...

ცხოვრება გრძელდება და მე ჩემს შვილებს ვჭირდები, მათ უნდა მივხედო და ბიჭს ვუმკურნალო, რომ ჯანსაღი და სრულფასოვანი ვაჟკაცი გაიზარდოს. თემური გმირია. გმირი იქნება შვილებისთვის და პირველ რიგში ქვეყნისთვის. ის წავიდა, მაგრამ დატოვა სახელი, რომელსაც კიდევ დიდი ხანი არ დაივიწყებს ხალხი.

თემური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი.“

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირი თეიმურაზ ბერიძე 5 წლის შემდეგ, მშობლიურ მხარეში გადმოსვენეს და ფერიის პანთეონში დაკრძალეს.

დაკრძალვის ცერემონიალს საპატიო ყარაული, სამხედრო მაღალჩინოსნები, ოჯახის ახლობლები, აჭარის მთავრობისა და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე სასულიერო პირები და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ.

ქართველი გმირის მამაცობაზე და თავგანწირვის ისტორიაზე, ცერემონიაზე შეკრებილმა სზოგადოებამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი ჩავლეიშვილმა, თავმჯდომარის მოადგილემ ჯუმბერ კახიძემ და პოეტმა ვახტანგ ღლონტმა ისაუბრეს. დაღუპულის სამგლოვიარო პანაშვიდი კი მამა თევდორემ გადაიხადა.

კაპრალი თეიმურაზ ბერიძე 2008 წლის 11 აგვისტოს შინდისში დაიღუპა, იგი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის N7 განკარგულებით დაჯილდოებულია მედლით “მხედრული მამაცობისთვის”, მისი სახელის უკვადვსაყოფად კი ბათუმის თვითმმართველობამ 2012 წლის 8 აგვისტოს, მახინჯაურში ერთ—ერთ ქუჩას თეიმურაზ ბერიძის სახელი მიანიჭა.

თეიმურაზ ბერიძეს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად აჭარაში გადმოვიდა, სწორედ ოჯახის მოთხოვნით დაღუპული კახეთის სოფელ ფიროსმანიდან ბათუმში გადმოასვენეს.

გადმოსვენებისა და დაკრძალვის საორგანიზაციო საკითხები საკრებულოს სპეციალურმა კომისიამ უზრუნველყო. საორგანიზაციო ჯგუფს კახეთში საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ნაზი ფუტკარაძე ხელმძღვანელობდა, აღნიშნულმა კომისიამ იმ დღესვე თეიმურაზ ბერიძის ძმა, თენგიზ ბერიძეც გადმოასვენა, რომელიც აფხაზეთის ომში იბრძოდა

მასალები მომზადებულია წიგნიდან „გმირები“

დაიმახსოვრეთ ეს სახელი- გიორგი გურაშვილი

13 წლის გიორგი გურაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემიაში ჩაირიცხა, სადაც ბავშვების მიღება ეტაპობრივად ხდებოდა. 350 მსურველიდან წელს მხოლოდ ოცდაორმა პატარა ფეხბურთელმა აისრულა ოცნება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროექტი, მეორე წელია, რაც ხორციელდება და მისი ხანგრძლივობა 5 წელს შეადგენს. აკადემიას UEFA აფინანსებს და მასში განსაკუთრებული საფეხბურთო მონაცემების მქონე ბავშვები სწავლობენ და ვარჯიშობენ. ისინი გამოცდილების შესაძენად, წელიწადში ორჯერ, ევროპის საერთაშორისო ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ, მათგან საუკეთესონი საფრანგეთის საფეხბურთო კლუბებში ითამაშებენ.

გიორგი 3 წელია, რაც ფეხბურთს თამაშობს და მინდორზე ცენტრალური მცველის ფუნქციას ასრულებს.

„ეს ძალიან დიდი მიღწევაა, რადგან წელს სამეგრელოდან, რომელიც საფეხბურთო მიღწევებითა და ტრადიციებით გამორჩეული რეგიონია, ვერავინ მოხვდა. წელს კახეთის რეგიონიდან მხოლოდ გიორგის გაუმართლა და აკადემიის მოსწავლე გახდა. დედოფლისწყაროს საფეხბურთო ისტორიაშიც ეს პირველი შემთხვევაა“-ამბობს მისი მწვრთნელი კაკო მაჩაბლიშვილი.

გიორგის დიდ ფეხბურთთან შეხება 11 აგვისტოს მოუწევს, სადაც ის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემიაში ახალჩარიცხული მოსწავლეები თბილისის სტადიონზე ბარსელონა-სევილიის თამაშს დაესწრებიან და მაღალი დონის ფეხბურთს იხილავენ.

გიორგის სპორტულ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. მას დიდი შანსი ეძლევა, რომ მომავალში სერიოზული საფეხბურთო კარიერა გაიკეთოს და საქართველოსთან ერთად მშობლიური რაიონიც ასახელოს. დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი-გიორგი გურაშვილი, ეჭვი არ გვეპარება, რომ ის თავის სათქმელს აუცილებლად იტყვის და თავს არაერთხელ შეგვახსენებს.

წარმატებებს, იღბალს და ზურგის ქარს ვუსურვებთ მას.

ინგა შიოლაშვილი

ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

2015 წლის 2 აგვისტოს, ელიაობის დღესასწაულზე,ელიის მთის ძირში გაიმართა ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში საქართველოს 13 ქალაქის გუნდი მონაწილეობდა.

ტურნირს მრავალი საპატიო სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის: კახეთის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი-ირაკლი შიოლაშვილი, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი-პაატა ხიზანიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი-ნიკოლოზ ჯანიაშვილი, პოლიციის გენერალი, ქართული ჭიდაობის საპატიო პრეზიდენტი-თამაზ თამაზაშვილი,სპორტისა სა ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე-შალვა გოგოლაძე, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი-გელა ბერუაშვილი, კახეთის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი-გურამ სამხარაძე, ფედერაციის გენერალური სპონსორი-ნოდარ ინასარიძე, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი

დიმიტრი(კაპანაზე) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, სხვადასხვა სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები, კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

აღსანიშნავის, რომ დედოფლისწყაროდან მხოლოდ მიხეილ ჩოხელმა დაიკავა საპრიზო მესამე ადგილი 85 კგ. წონით კატეგორიაში.

დემურ გიგაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში

1 აგვისტოს, სოფელ გამარჯვებაში გაიმართა უდროოდ გარდაცვლილი ამავე სოფლის მკვიდრის-დემურ გიგაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი, რიგით მეთექვსმეტე, ტრადიციული ტურნირი გარდამავალ თასზე ფეხბურთში. ტურნირი 1999 წელს დააარსა გამარჯვებელმა ზურაბ ბიკაშვილმა. თავიდან, შეჯიბრი სოფლის უბნებს შორის ტარდებოდა, ხოლო მოგვიანებით, უფრო მასობრივი ხასითი შეიძინა. წელს ტურნირში 5 გუნდი მონაწილეობდა. პირველ ადგილზე გავიდა სოფ. ხორნაბუჯის "ვარსკვლავები", მეორეზე-სოფ. გამარჯვების I გუნდი, მესამე ადგილები გაიყვეს-სოფ. გამარჯვების II და დედოფლისწყაროს "კამიშოვკის' გუნდებმა. საუკეთესო გოლის ავტორია ილია ჩოფურიშვილი (გამარჯვების გუნდი), საუკეთესო მეკარის ტიტული მიენიჭა ილია ჯავაშვილს-სოფ. გამარჯვება. საუკეთესო მოთამაშე-ზურაბ პოპიაშვილია (დედოფლისწყარო), საუკეთესო ბომბარდირი-მარლენ ნატროშვილი (დედოფლისწყარო). თბილისის "დინამოს" მოთამაშემ, სოფ. გამარჯვების მკვიდრმა - ბაჩანა არაბულმა, საუკეთესო მოთამაშესზურაბ პოპიაშვილს, საჩუქრად გადასცა მაისური თბილისის "დინამოს' ფეხბურთელთა ავტოგრაფებით.

ამერიკული ქველმოქმედება

90-იან წლებში, უშუქობისა და უმუშევრობის პერიოდში შორენა ბარბაქაძე ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ამერიკაში წავიდა და ემიგრანტი ქართველი თვალხატულა ბავშვებისგან შექმნა ქართული ტრადიციული ცეკვის ანსამბლი. როდესაც შეიტყო 13 ივნისის ტრაგედიის შესახებ, მან ყველას მიმართა დახმარებისთვის, რათა თავისი ანსამბლითურთ სწვეოდა თბილისს და საქველმოქმედო კონცერტი გაემართა. 12 ივლისს, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე ისინი ეწვივნენ თბილისს და ქართული საზოგადოება ეზიარა ანსამბლ „ფესვების“ შემოქმედებას.

გალა კონცერტს უძღვებოდნენ ფოლკლორის დიდი მოამაგის, ქ. თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის ყოფილი გამგის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის პროფესორ კუკური ჭოხონელიძის ქალიშვილი თინათინი და შვილიშვილი, მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მსახიობი კოკო როინიშვილი.

ამერიკელი ქართველები მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. ძვირფას ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ნორჩმა მოცეკვავეებმა ცეცხლი დაანთეს სცენაზე და მხურვალე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს. ეროვნულ ცეკვებს მეტ ხიბლს სძენდა დები ჭოხონელიძეების სტუდიის მიერ შესრულებული ქართული და ინგლისური სიმღერები.

კონცერტის დასასრულს თამრიკო ჭოხონელიძემ თავისი ხელით ბისერებით შემკული წმინდა ნინოს ულამაზესი ხატი გადასცა ანსამბლ „ფესვების“ სამხატვრო ხელმძღვანელს, რომელმაც სამახსოვრო სუვენირებით დაასაჩუქრა საღამოს ორგანიზატორები.

სცენაზე ასული ქართველი მაყურებელი გულში იხუტებდა ოკეანისგადაღმა დაბადებულ თითოეულ პატარა ქართველს, რომლებიც პირველად იყვნენ საქართველოში, იღებდნენ მათთან ერთად უამრავ სურათს...

ეს დღე მართლაც ოქროს ასოებით ჩაიწერება მასპინძელი გრიბოედოვის სახელობის თეატრის ისტორიაში. სამხატვრო ხელმძღვანელმა ავთო ვარსიმაშვილმა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დაუთმო დიდი საკონცერტო დარბაზი პატარა ქართველ ემიგრანტებს, რომელთა შემოქმედებამაც გააოცა და აღაფრთოვანა თეატრში მოსული ზღვა მაყურებელი.

ნანა ჭიჭინაძე

ფიქრები

კაცმა თავის თავს რომ უყო...

მესამე კვირაა, ქალაქის ჰაერი შირაქიდან მოტანილი ნამჯისა და ბალახის ნამწვავი ჭვარტლითაა გაჯერებული და ჩვენს ეზო-კარ-მიდამოს შავად ეფინება. ასეთი რამ არ მახსოვს. ჩვენ რომ ამ დღეში ვართ, წარმოიდგინეთ, ქედებში ხალხი რა ამბავში იქნება! და ეს შავი ჭვარტლი ზედ გულზე სევდად მაწვება, სულს მიფორიაქებს და მიმძიმებს, გული მტკივა. რატომ ვართ ჩვენი თავის მტრები, რატომ? ბუნება რომ კატაკლიზმებს განიცდის, გაუდაბნოების პროცესი რომ შეუქცევადია, არნახული სიცხით რომ ითანგება ირგვლივ ყველაფერი, ხომ აშკარად ვხედავთ, ჩვენ მაინც რატომღა ვუმატებთ ჭირს ჩვენი დაუდევარი ქცევით და წინდაუხედაობით? ნუთუ ასე ძნელია, ვიგრძნოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და არ დავუშვათ საბედისწერო შეცდომა, არ შევქმნათ ხანძრის გაჩენის საშიშროება.

ყველანაირი სტიქია საშინელია, წყალდიდობაც, მიწისძვრაც, მეწყერიც, მაგრამ ცეცხლი მაინც საზარელია, როცა უძლური ხარ და თვალით უყურებ, როგორ იქცევა ნაცრად წლებით ნალოლიავები ტყე თუ მინდორი. როცა ხანძარზე ვფიქრობ, სულ 2008 წლის აგვისტოს ომი მახსენდება-ბორჯომის ტყე რომ იწვოდა მთელ კვირაზე მეტ ხანს და ვერც საჰაერო და ვერც სხვა საშუალებით ვერ ხდებოდა მისი ჩაქრობა.

აქვე მახსენდება წლების წინანდელი ერთი ეპიზოდი. საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ალოობის მიმდინარეობის გასაცნობად შირაქს, თანმხლებ პირებთან ერთად ესტუმრა. ჯერ მოჩარდახულში ინფორმაცია მოისმინა, მერე, პროტოკოლის მიხედვით, ახალი კომბაინის დასათვალიერებლად შუა მინდორში მომუშავე ტექნიკისკენ გაეშურა, კომბაინის საჭეს უნდა მისჯდომოდა, ყველა მას მიჰყვა. მე და ბატონი ზურაბ ჟვანია მხარდამხარ მივდიოდით. მას რამდენჯერმე შევხვედრივარ თათბირსა თუ არაოფიციალურად გამართულ ვახშამზე. ვიცოდი, როგორი წინდახედული და გონიერი ადამიანი იყო იგი. მაგრამ, მოულოდნელად, მან სიგარეტის ჩაუქრობელი ნამწვი ძირს დაუდევრად დააგდო და გზა განაგრძო. მე შევშფოთდი და ნამწვისკენ გავეშურე, თან გაოცებით ვუთხარი, ბატონო ზურაბ, ასე ხომ შეიძლება ის აუღებელი მოსავალი სულ განადგურდესმეთქი. ბატონი ზურაბი სასწრაფოდ შემობრუნდა, სიგარეტის ნამწვი ჩააქრო და დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით დარცხვენილმა შემომხედა, ბოდიშიო, მითხრა და დინჯი ნაბიჯით გაგრძელა გზა. ეს ეპიზოდი იმიტომ გამახსენდა, რომ ვფიქრობ, ნეტავ რას განიცდის ის ადამიანი, რომლის დაუდევრობამაც ეს ზოლი გაანადგურა და გერმანელებისა და ავსტრიელების მიერ ჩვენთვის დახარჯული მილიონები ცეცხლს გაატანა. ისედაც გამოფიტული შირაქის მინა კიდევ უფრო დიდი განსაცდელისთვის გაიმეტა. ეს ან იმ ძუნწმა მინის მესაკუთრემ წაუკიდა ცეცხლი გადასაწვავად შემოუხნავ თავის ნაკვეთს და გამხმარ და მაღალი სიცხისგან გაფიცხებულ ნამჯასა და ბალახს სტიქიურად გაეკიდა, ან... რა ვქნა, ერთი ეჭვიც არ მასვენებს, რადგან არაერთხელ გვინახავს, როცა ამ ტერიტორიაზე ჩასახლებული აზერბაიჯანელი მწყემსები ქარსაფარს შეგნებულად წვავენ, რომ აგვისტოს ბოლოს მოსული ნალექის შემდეგ სწრაფად ამოვიდეს ნორჩი ბალახი და გვიან შემოდგომამდე მათ საქონელს საძოვარი ჰქონდეს. ისევ მივადექით იმ მოჯადოებულ წრეს, როცა არაერთგზის ხმამაღლა მიკივლია, გაიყვანეთ საქონელი იმ ტერიტორიებიდან, სადაც მათ საძოვარი არა აქვთ. ყოველი ახლადმოსული რაიონის ხელმძღვანელობა დაიქადნის ხოლმე, ამ პრობლემას წერტილს დავუსვამთო, მაგრამ ძვრაც ვერავინ უყო. არ ვიცი რა ჯადო ტრიალებს შირაქის თავზე, ეს ჭირი რომ ვერ მოუშორებიათ მისთვის.

ახლა ვზივარ და ტკივილითა და სევდით სავსე გულით ამ სტრიქონებს ვწერ, რომელსაც ვიცი, არავითარი შედეგი არ მოჰყვება, არავინ დაისჯება. ვიღაცამ შეიძლება კომუნისტური ნოსტალგიით შეპყრობილი მიწოდოს, მაგრამ მე კომუნისტები კი არა, ნესრიგი მენატრება. ასეთ ვითარებაში ვინმეს მაინც "გამოჩხრეკავდნენ" და სამაგალითოდ დასჯიდნენ, რომ მეორეს აღარ გაებედა მსგავსი საქციელი. იქნებ არაჰუმანური და არადემოკრატიულია, რაც ახლა მე ვთქვი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ხალხი თავის ნებაზეა მიშვებული და მათი მოქალაქეობრივი თვითშეგნება კი, მაპატიეთ მაგრამ, ბრბოს დონეზეა დარჩენილი. ვერა და ვერ გავიგეთ, რომ ყველა ყველაფერზე ვაგებთ პასუხს. ახლა ისეთ სიტუაციაში ვართ, კაცი თავის თავს რომ უზამს, ქვეყანა რომ მიადგეს, ვერ უზამსო. ყველა ზარალში ვართ. ამ ქარსაფარი ზოლების ჯერ გაჩეხვით და მერე ხანძრებით განადგურებით იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც მარტო ჩვენ კი არა, ჩვენი შვილები და შვილიშვილებიც სხედან. წლები სჭირდება მათ აღდგენას და გაშენებას. ქარსაფარის გარეშე კი შირაქის ველი მოსავალს ვერ მოგვცემს, თუ რაღაც წლევანდელი წელივით, ღვთის წყალობა არ იყო ათთხუთმეტ წელში ერთხელ.

დავფიქრდეთ ადამიანებო, ჩვენს მიწა-წყალს ბოროტად ნუ მოვექცევით, ის ხომ ჩვენი მამამარჩენალია!

ნაირა გორაშვილი

საქართველო C ჰეპატიტის გარეშე

C ჰეპატიტი განკურნებადია!

28 ივლისი ჩ ჰეპატიტის მსოფლიო დღეა...

C ჰეპატიტთან ბრძოლის მსოფლიო დღის მთავარი სლოგანია- იმოქმედე ახლავე, აიცილე ჰეპატიტი!

იგი მიმდინარეობს ოთხი ძირითადი გზავნილით:

. აიცილე ჰეპატიტი, იცოდე რისკების შესახებ!

. აიცილე ჰეპატიტი, მოითხოვე უსაფრთხო ინექციები!

. აიცილე ჰეპატიტი, ჩაუტარეთ ბავშვებს ვაქცინაცია!

. აიცილე ჰეპატიტი, ჩაიტარე ტესტირება, იმკურნალე!

27 ივლისიდან რეგულარული ჯანდაცვის ცენტრ "დედოფლისწყაროს" ბიოქიმიურ განყოფილებაში ექიმი-ლაბორანტების: ციცო ბეგიაშვილისა და მაია პოპიაშვილის მიერ ხორციელდება C ჰეპატიტის სკრინინგის ორკვირეული პროგრამა. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ტესტირების პასუხები რამოდენიმე წუთში მზადდება. ჩვენ ვესაუბრეთ რეგულარული ჯანდაცვის ცენტრ "დედოფლისწყაროს" მთავარ ექიმს ხათუნა აგლაძეს და განმარტებები ვთხოვეთ ვირუსთან ბრძოლის პრევენციული ზომების მიღებისა და ზოგადად, მისი მკურნალობის შესახებ.

- მოგეხსენებათ, 27 ივლისიდან საქართველოს 9 რეგიონში C ჰეპატიტის სკრინინგის ორკვირეული დაიწყო. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულ საყოველთაო კამპანიას "საქართველო C ჰეპატიტის გარეშე " შევუერთდით ყველა. 2015 წელი C ჰეპატიტთან ბრძოლის წლადაა გამოცხადებული. ვირუსთან ბრძოლა და მისი დამარცხება ჩვენმა მთავრობამ მოსვლისთანავე დაისახა მიზნად და უმთავრეს ამოცანად, აქედან გამომდინარე, მასთან ბრძოლას უდიდესი პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს, ამ საქმეს კი სათავეში ჩაუდგა ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და ჯანდაცვის სამინისტროს უახლესი 5 წლის მთავარ პრიორეტს სწორედ ეს პროგრამა წარმოადგენს.

დღეს ვუერთდებით ამ შესანიშნავ ინიციატივას და ვიწყებთ პროექტს მისი გამოვლენის ფაქტებით. ღრმად მწამს, რომ ყველა ერთად შევძლებთ ამ სენის დამარცხებას, ვირუსთან ბრძოლა და ეფექტური მკურნალობა დაავადების დამარცხების 100%-ანი გარანტიაა. - აცხადებს პირად საუბარში ქ-ნი ხათუნა.

ბიოქიმიური ლაბორატორიის ექიმის ქ-ნ ციცო ბეგიაშვილის განმარტებით კი, 27 ივლისიდან ყოველდღიურად მოდიან მსურველები და პრევენციისა და საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობის მიზნით იტარებენ გამოკვლევას,ხოლო ვირუსის აღმოჩენისთანავე პაციენტის მონაცემები ეგზავნება დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს ქ-ნ მარიეტა გონაშვილს და შემდგომ მიმართულებებსაც საზ. ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს.

იმედს ვიტოვებთ, დედოფლისწყაროს მოსახლეობა ყურადღებით მოეკიდება სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ გამოჯანმრთელების ამ ძვირადღირებულ და აქამდე ხელმიუწვდომელ პროგრამას, ხელიდან არ გავუშვებთ ამ უნიკალურ შანსს და ვიზრუნებთ არამხოლოდ ჩვენს ჯანმრთელობაზე, არამედ ირგვლივმყოფებზეც.

ელზა ხარაშვილი

შენებასაც მოვესწარ და ნგრევასაც

არიან ადამიანები, რომელთა მიერ განვლილი ცხოვრების გზა სამაგალითოა როგორც შინაარსობრივად, ასევე ცხოვრების წესით და ადამიანური თვისებებით. მათ არ ჰქონიათ დიდი თანამდებობები, გავლენიან სკამებზე არ მსხდარან, არ მიულიათ ქვეყნის ბედის გადასაწყვეტი დადგენილებები, მაგრამ მათი სახელი ყოველმა მეორემ თუ არა, მესამემ მაინც იცის. იცის მათი ნაშრომის და ნაჯაფარის გამო, მათ მიერ ალალად და პატიოსნად განვლილი ცხოვრების გამო. ჩვენ, პერიოდულად, ვაქვეყნებთ-ხოლმე ნარკვევებს ასეთ ადამიანებზე. ამით კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ საზოგადოებას და გამორჩეულად, ახალგაზრდებს, რომ ყველა პროფესიას, საქმიანობას აქვს კრიტერიუმები – პროფესიონალიზმი, ერთგულება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა და სიალალე. თუ ამ კრიტერიუმებს შენი ცხოვრება პასუხობს, ჩათვალე, რომ ტყუილად არ გიცხოვრია. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ადამიანს გაგაცნობთ დღეს:– ДАВИТ НИКОЛОЗИС ДЕ ЖЕНАШВИЛИ, ***ანუ იგივე „ნიკალაევიჩი“. თუმცა არასდროს ყოფილა ის „დიდი კაცი“, მაინც ყველა „ნიკალაევიჩად“ იცნობს.***



ის დაიბადა 1937 წელს წითელწყაროში. მისი მშობლები იყვნენ კოლა ბენაშვილი და ოლია ბელიაევა. კოლა ცნობილი პარიკმახერი იყო და ამ ხელობით მრავალსულიან ოჯახს არჩენდა. ოლია კრასნოდარის მხარეში დაიბადა. 6 წლის იყო, დიდი შიმშილობა რომ ჩამოვარდა მათ სოფელში. მამამ შეაბა ცხენი „ბრიჩკაში“, დააბარგა ცოლ-შვილი და მზიური საქართველოსკენ გამოეშურა. ჯერ ლაგოდეხში დასახლდა, მერე წითელწყაროში გადმობარგდა და მთელი ცხოვრება აქ გაატარა.

ერთგული და მშრომელი ქალი გამოდგა ოლია. ჯერ ხუთი შვილის აღზრდას შეალია ცხოვრება და როცა დაზარდა, კოლმეურნეობაში გავიდა სამუშაოდ, რათა მეუღლეს გვერდში ამოსდგომოდა. დათო მშობლების უფროსი შვილი იყო და და-ძმებზე ზრუნვა მასაც უნევდა. ამიტომ წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის არასრული კურსის დამთავრებისთანავე მშენებლობაზე წავიდა მუშად.

–ერთი კარგი მლესავი იყო, ვიქტორ ყაზაროვი, იმან მირჩია, შენგან პროფესორი რომ არ დადგება, შენც ატყობ, წადი რუსთავში, სახელოსნო სასწავლებელში და არ ინანებო. მართლაც, 1952-54 წლებში რუსთავში ვსწავლობდი. ძალიან კარგი სწავლება იყო, ისეთი რამეები გვასწავლეს, ბევრმა დღევანდელმა მშენებელმა ინჟინრებმაც კი არ იციან. შემასწავლეს ქვის და აგურის წყობის მრავალნაირი სახეობა, ლესვა, მოპირკეთება, მათი პერიმეტრები. დღემდე მადლიერი ვარ, ღმერთმა სულით გაანათლოს ვიქტორი, იმისი რჩევა კარგად დამიჯდა. – იგონებს დათო.

ხელობის ფასი, მამის საქმიანობიდან გამომდინარე, კარგად იცოდა. გამდიდრების გზა ის არ არის, მაგრამ ალალი ლუკმა აქვთ ხელოსნებს, შრომობენ და უფასდებათ კიდეც. ხელობა ყოველ დროში საჭირო და მომგებიანი საქმეა. რამდენიმე წელი რუსთავში მრავალსართულიანი სახლების მშენებლობაზე იმუშავა, ცოდნას გამოცდილება დაუმატა და მშობლიურ წითელწყაროს დაუბრუნდა. აქაც აღმშენებლობა იყო ირგვლივ. ერთხანს სარემონტო კანტორაში მუშაობდა, მერე საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო საბჭოში გადავიდა. მალე ჯარშიც გაიწვიეს. ყირიმის სამშენებლო ნაწილში იხდიდა მოქალაქეობრივ ვალს. მაშინ ჯარში სამი წელი მსახურობდნენ. ეს მთელი „ეპოქა“ იყო მამაკაცის ცხოვრებაში. სირცხვილიც იყო, თუ „დაგბრაკავდნენ“ და ჯარს არ მოიხდიდი. მალევე შეატყო ხელმძღვანელობამ, რომ კარგი ოსტატი იყო და ორგანიზატორული ნიჭიც ჰქონდა. ამიტომ სამშენებლო ბრიგადა ჩააბარეს და დათოსაც თავი არ შეურცხვენია. მრავალსართულიანი სახლების მშენებლობაში მონაწილეობდნენ.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში სამშენებლო ტექნიკუმი დაამთავრა და ისევ მშობლიურ რაიონს მოაშურა. ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში დაიწყო მშენებლად მუშაობა. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნოდარ ქავთარაძემ ნდობა გამოუცხადა და სამუშაოთა მწარმოებლად დანიშნა. 16 წელი ასრულებდა ამ მოვალეობას და კარგადაც ასრულებდა. პირველი ობიექტი, რომელიც მისი ხელმძღვანელობით აშენდა, სეტყვის საწინააღმდეგო სადგური იყო ქოჩებში. მას მეფრინველეობის ფაბრიკის, ე.წ. „ბამის“ მშენებლობა მოჰყვა, მერე იყო ჯაფარიძის საშუალო სკოლა, შემნახველი სალაროს ახალი შენობა, სტამბა-რედაქციის და სხვა მრავალი ორგანიზაციის შენობები.

1978 წელს სამუშაოთა მწარმოებელთა შორის გამართულ შეჯიბრში მან გაიმარჯვა და თეთრი „ჟიგულით“ დაჯილდოვეს.

– ძალიან ბედნიერი ვიყავ, შრომა რომ დამიფასდა, მაგრამ სულ მუდამ მახსოვდა, რომ მონაგარს გაფრთხილება და ყაირათი სჭირდება. სწორედ ამიტომ, დღესაც, 37 წლის შემდეგაც, „ცოცხალია“ ჩემი „თეთრონა“ და ბევრ თანამედროვე მანქანას სჯობია. ყოველ შემთხვევაში, ხანდაზმული ადამიანისათვის მეტი საჭირო არ არის. ამითაც კმაყოფილი ვარ – ამბობს დათო და თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდს იხსენებს: – ალაზნიდან სარწყავი წყალი ამოვიყვანეთ. გახსნას მაშინდელი აღმასკომის თვმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი და ძლიერი მეურნე ვანო ფიროსმანაშვილიც დაესწრო. როცა ჩამკეტი ონკანები გავხსენით და დაწვიმებითი სარწყავი სისტემა ამოქმედდა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ერთმანეთს ვეხვეოდით და ვულოცავდით. ეს დიდი გამარჯვება იყო ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. წარმოიდგინეთ, ჩემთვის რამდენად მტკივნეულია, რომ ეს სისტემა ასე უმოწყალოდ დაინგრა, მილები ჯართში ჩაბარდა. ნეტავ იმ ხალხის გულში ჩამახედა, ვინც ეს ჩაიდინა, ვინც „ბამი“ დაანგრია და ნაწილ-ნაწილ გაყიდა. უნიკალური ფილებით იყო ნაგები ეს უზარმაზარი კომპლექსი. მერე ზოგმა ფერმა აიშენა, ზოგმა ეზო-კარი შემორაგა ამ ფილებით და დღეს იქ მაშინდელი დიდების კვალიც აღარსად ჩანს. გულსატკენია, მე შენებასაც მოვესწარ და ნგრევასაც, ერთით გამონვეული სიამოვნება და სიამაყეც განვიცადე და მეორეთი მიყენებული გულის ტკივილიც. ბევრი კერძო ბინაც ამიშენებია. უბან-უბან რომ დავყვეთ, ყოველი მეოთხე, მეხუთე სახლი ჩემი აშენებული ან გალესილია. მეამაყება, მაგრამ აქაც მაქვს წუხილის მიზეზი, რადგან ბინების გაახლების, მისთვის ხელის შევლების საშუალება არა აქვთ ადამიანებს, ბევრ მათგანს კი ბოქლომი ადევს და მისი პატრონი ან საზღვარგარეთ მოხუცს უვლის, ან დედაქალაქში წვრილმანის ვაჭრობით ირჩენს თავს. როცა დავფიქრდები, ხანდახან მეც მიკვირს, რა ხელმა და წელმა გაუძლო ამდენ შრომას, რამდენ აგურს და ქვას გაუვლია ჩემს ხელში, რანაირი დამკვეთი არა მყოლია. ერთხელ, ახალგაზრდობისას, პადმასკოვიეში სააგარაკო სახლი ავაშენე. არქიტექტორი ახალგაზრდა ქალი იყო. მშენებლობის დასრულების შემდეგ ზემოდან რომ დაგეხედათ, შენობის სახურავი ხუთქიმიან ვარსკვლავს ხატავდა. ეს იმ ქალის სადიპლომო ნამუშევარი იყო. ახლა, შემინული მშენებლობის პირობებში, მრავალნაირი ფიგურის მიღება გახდა შესაძლებელი, მანსარდები და სხვა მრავალი სამშვენისები ალამაზებს შენობებს, მაგრამ მაშინ ეს, დამერწმუნეთ, ძალიან ნოვატოროული და გაბედული პროექტი იყო, რომელიც ძალიან შეძლებულ კაცს ეკუთვნოდა და ბევრ მითქმა-მოთქმასაც იწვევდა. საქართველოშიც ბევრი ლამაზი სააგარაკო სახლი ამიშენებია კოჯორსა და წოწორეთში. საერთოდ აზარტული ვარ და ეს საქმეშიც მეტყობა. სხვათა შორის, სპორტული აზარტიც არ მაკლდა, ფეხბურთს ვთამაშობდი რაიონულ გუნდ „შირაქში“. მწვრთნელი ელგუჯა და დათუნი სინჯიაშვილები იყვნენ. არ მიშვებდნენ გუნდიდან, მაგრამ მაშინ სპორტი შემოსავლიანი სფერო არ იყო და მე კი ოჯახი მყავდა სარჩენი. ამიტომ ვერ გავყე სპორტს, უნდა მემუშავა, რომ ეკონომიური უზრუნველყოფა მქონოდა. ხელობა კი თავის რჩენის გარანტირებული საშუალებაა. ყველაზე მეტად კი დათოს ის ეამაყება, რომ ზაურ გონაშვილთან ერთად მან ქ. დედოფლისწყაროს სამების და ილია თეზბიტელის ტაძრების მშენებლობაში მიიღო მონაწილეობა.

ეს ბოლო 6-7 წელია, დათომ კიდევ ერთი ახალი ხელობა შეითვისა და უკვე „დიდი ოსტატის“ სახელი დაიმკვიდრა. ეს ბუხრების მშენებლობაა. მისი აშენებული ბუხარი არა მარტო ლამაზი და ორიგინალურია, არამედ თავის დანიშნულებას უმაღლეს დონეზე ასრულებს: არ გამოდის კვამლი, მაქსიმალურად გამოსცემს სითბოს და ირგვლივ სიმშვიდეს და სიამოვნებას ამყარებს.

– დათო, რატომ გაგიჩნდა ბუხრების შენების იდეა?

– ბოლო ორი ათეული წელია, მშენებლობებმა იკლო, თითქმის გაჩერდა. ბოლო 6-7 წელია, რაც ბუხრის შენება „მოდაში შემოვიდა“. ეს, ერთის მხრივ, კომფორტის ატრიბუტია, მეორეს მხრივ–საჭიროების. ბუხარი ვიზუალურადაც ლამაზია და უხდება ოთახს. ამასთან, თუნუქის ღუმელისგან განსხვავებით, დაკვამლიანების მინიმუმამდე დაყვანაც შეიძლება. შეშის დამატებისას ღუმელიდან კვამლი მაინც გამოდის, გინდ თავი ამოჭრილი არ ჰქონდეს, საკვამლე მილებს ორ-სამ კვირაში ერთხელ, თუ უფრო ხშირად არა, განმენდა სჭირდება. ბუხრის შემთხვევაში ამისგან დაცული ვართ. თუ იმავე რაოდენობის შეშას ვახმართ ბუხარს, რასაც ღუმელში ვხარჯავთ, ორმაგად მეტ ფართობს გაათბობს. რაც შეეხება ჩემს დასპეციალებას ამ კუთხით, მე მაქვს შესაბამისი ლიტერატურა რუსულ ენაზე, სადაც ბუხრის სამი სტილის მშენებლობაა დაწვრილებით განხილული-ინგლისური, გერმანული და შვედური. აქ წარმოდგენილია ნახაზები, სქემები თავისი ზომებით. რაც შეეხება გარეგნულ სახეს, ფანტაზიაც უნდა ჩართო. უნდა გაითვალისწინო, აგრეთვე, ოთახის ფართობი, ბუხრის მდებარეობა ოთახში, კედლის სიმაღლე. ერთი ჩვევა მაქვს, რასაც ვაშენებ, ერთ დიდ რვეულში ვაფიქსირებ. უკვე 130-ზე მეტი ბუხარი მაქვს აშენებული. ჩემი ბუხრიდან კვამლი არ გამოვა. ერთმა შემკვეთმა დამირეკა და მითხრა:–კვამლი გამოვიდა, ვერ ვანთებთო. თავქუდმოგლეჯილი მივვარდი. თურმე ნუ იტყვით, კარ-ფანჯარა მეტალოპლასტმასის ნაკეთობებით ჩაუნაცვლებიათ და დაგმანულ, უჰაერო სივრცეში ბუხარი როგორ აენთებოდა?! სარკმელი ოდნავ მოვაღე და ბუხარმაც გუგუნი დაიწყო. ასე რომ, მინდა, ხალხმა იცოდეს, თუ ბუხარს ჰაერის ცირკულაცია არ უწყობს ხელს, როგორიც გინდა ნაშენები იყოს, კვამლი მაინც გამოვა. სულ ოდნავ სარკმლის მოღება საკმარისია, რომ ნორმალური წევა განვითარდეს. ხანდახან კლიენტი თავისას დაიჟინებს და რაღაც ფანტაზიით შექმნილ ვარიანტს მთავაზობს. როცა ვეუბნები, რომ არ გამოვა კარგი, ჰგონია, ამას ჩემი შეღვათიანი სამუშაოსათვის ვეუბნები. მაგრამ ეს ასე არ არის. ბევრჯერ კლიენტის მითითებით აშენებული ბუხარი, მისივე თხოვნით, დამინგრევია და ჩემი ვარიანტით ამიშენებია. ზოგადად, ვისაც უნდა, რომ ზამთარში თბილად იყოს, ბუხარი ზაფხულში უნდა ააშენოს. ზაფხულში აშენებული ბუხარი ზამთრამდე ბუნებრივად გამოშრება და ანთებისას ის სუნი, რაც ცეცხლის დამნთებისას დგება ახალაშენებულ ბუხარში, აღარ იქნება. ბუხრების მშენებლობის პარალელურად ვმუშაობ ეზოს ონკანების მოპირკეთებაზე, რაც ძალიან ამშვენებს გარემოს. შენება და ლესვაც კვლავ შემიძლია. ახლაც ერთ ოჯახში მესამე სართულის სარემონტო სამუშაოებს ვასრულებ.



– 76 წლის ასაკში კვლავ ხარაჩოზე დგახართ, არ გიჭირთ, როგორი ჯანმრთელობა გაქვთ?

– ძლიერი, თითქმის არაფერი მტკივა, გარდა იმისა, რომ ხანდახან წნევა მაქვს ხოლმე. წამალს დავლევ და დამიწევს. მეუღლე მეჩხუბება, სისტემატურად უნდა სვა მარეგულირებელიო, მაგრამ მანვე თუ არ შემახსენა, მე ხშირად მავიწყდება დალევა. ეჰ, ერთხელაც იქნება, მიყელებს დაა.. არა უშავს, რაც ვიცხოვრე, ცუდად არ მიცხოვრია, ჩემს მკლავ-მარჯვენაზე დამოკიდებულს არასოდეს მომშივნია. სიმდიდრეზე არც მიოცნებია და არც მიზრუნია. ვცხოვრობ საშუალოდ, მაქვს სახლ-კარი, ეზო, ბაღჩა, მყავს ცოლ-შვილი, შვილიშვილები. კაცს ამაზე მეტი რა უნდა უნდოდეს?!

– მოდით, თქვენს ცოლ-შვილზე უფრო დაწვრილებით გვიამბეთ. ვიცით, რომ რუსი ცოლი გყავთ. ეს ფუძემ მოითხოვა, დედა რუსი რომ გყავდათ, თუ სიყვარულმა დაგძალათ?

–ჩემი მეუღლე, სვეტლანა შარაპოვა, ვორონეჟიდანაა. იქ ყოფნისას გავიცანი. მოგვეწონა ერთმანეთი და რომანი გავაბით. თუმცა ვფიქრობდი, რომ ის წითელწყაროში არ გამომყვებოდა. ერთხელაც ისე, ყასიდად ვუთხარი, ჩემთან ერთად საქართველოში საცხოვრებლად წამოხვალ-მეთქი. რატომაც არაო, – მიპასუხა. ასე გამოვთხარე თვალი რუსეთს და აქ ჩამოვიყვანე. ის ათეული წლები რუსულ სკოლაში მათემატიკას და ხაზვას ასწავლიდა. ძალიან კარგი ავტორიტეტი ჰქონდა. დღემდე ღებულობს ბარათებს თავისი მოსწავლეებისაგან, მას იწვევენ სკოლის დამთავრების წლისთავებზე. მე. პრინციპში, მისით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ერთი შეცდომა დავუშვი, ქართული ენის სწავლა თავიდანვე არ დავაძალე. რუსული კარაგდ ვიცოდი და სულ რუსულად ვესაუბრებოდი. თავიდან რომ ვიწყებდე, ამას აუცილებლად გავითვალსწინებდი:–საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს ქართული ენა. ორი შვილი გვყავს. უფროსი ვაჟი ალექსანდრე 1968 წელს დაიბადა. რუსული სკოლა დაამთავრა, მერე – მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის უნივერსიტეტის გაწყლოვანება-ჰიდროჰესების მშენებლობის ფაკულტეტი. ინჟინერია. დარჩა მოსკოვში, იქ ცხოვრობს, 47 წლის კაცი ჯერაც არ დაოჯახებულა და ეს არის ჩემი ოჯახის ყველაზე დიდი ტკივილი. მერე ელენე დაიბადა. მას ამ სახელით მარტო მეუღლე მიმართავს, დანარჩენი ყველა ალიონად იცნობს. მეუღლე კი ნამდვილად კარგი შეხვდა. ძალიან მიყვარს. ის ცნობილი ქირურგის-თენგიზ კოდიაშვილის ვაჟი ამირან კოდიაშვილია. განათლებული, ერუდირებული, თავისი საქმის კარგი მცოდნე და ბუნების თავდადებული ქომაგი. მამად და მეუღლედაც სანაქებოა. სამი შვილიშვილი მაჩუქეს, ერთმანეთზე უკეთესები. უფროსმა, მარიმ, უკვე უმაღლესი დაამთავრა, მხატვარია. ალა მეორე კურსზე გადავიდა, ჯავახიშვილში სწავლობს 70%-იანი დაფინასებით. გიორგი კი VI კლასშია. ყველა დედოფლისწყაროს N1 სკოლაშია, რაც მახარებს. ყოველდღე ღმერთს მათ კარგად ყოფნას შევთხოვ. მათით ვხარობ, ისინი სიცოცხლის ხალისს მმატებენ.

– ღმერთმა სიცოცხლე და სიკეთე არ მოგაკლოთ, ბატონო დავით. ბედნიერი სიბერე გქონოდეთ. დიდხანს გემორჩილებოდეთ მკლავ-მარჯვენა, რომ კვლავაც მიიღოთ მონაწილეობა ქვეყნის აღმშენებლობაში.

ნარა გორაშვილი

P.S. დავით ბენაშვილს გული იმაზე სწყდება, რომ ახალგაზრდები ხელობის შესწავლით არ ინტერესდებიან და ურჩევს მათ–ბირჟაზე დგომას და უაზროდ დროის ფლანგვას ხელობას დაეუფლონ. მაშინ ისინი ერთ ღერ სიგარეტზე ხელს აღარავის გაუწვდიან.

აგვისტოს ომის ქრონიკა

2008 წლის აგვისტოს ომიდან 7 წელი გავიდა.

მანამდე კი კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი 2008 წლის აგვისტოს ომის ქრონოლოგიას:

2008 წელი, 1 აგვისტო - სოფელ ერედვში ნაღმზე ქართული პოლიციის მანქანა აფეთქდა, დაიღუპა ერთი ადამიანი; 2 აგვისტო - ცხინვალის მხრიდან ქართული სოფლების მიმართულებით ისვრიან. სახეზეა დაჭრილები და დაზიანებული საცხოვრებელი სახლები; 3 აგვისტო - რამდენიმე საათის განმავლობაში სროლები შეწყვეტილია; 4 აგვისტო - ოფიციალური თბილისის მტკიცებით, ოსებთან ერთად, ქართულ სოფლებს თავს რუსებიც ესხმიან, რასაც ცხინვალსა და მოსკოვში უარყოფენ; 5 აგვისტო — ოსი სეპარატისტების მიერ ოსურ სოფელ უბეათიდან სოფელ ნულის მიმართულებით ყუმბართმტყორცნიდან ცეცხლი გაიხსნა. ამავდროულად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ქართულ მხარეს ოსი "სამართალდამცველების" საგუშაგოების დაცხრილვაში ადანაშაულებს. ოსების დასახმარებლად ცხინვალის რეგიონში ჩრდილოეთ ოსეთიდან 300 "ბოევიკი" ჩადის, სეპარატისტებს დახმარება დონის კაზაკების ბატალიონმაც აღუთქვა. ცხინვალში რეგიონიდან ბავშვებისა და ქალების ევაკუაციის საკითხზე საგანგებო სხდომა იმართება. ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში მოქმედ რუს სამშვიდობოებს, რომლებიც გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაზე გადავიდნენ, საკუთარი მოვალეობების შესრულებისკენ მოუწოდებს; საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი 7 აგვისტოსთვის ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური პირდაპირი მოლაპარაკებების დაგეგმვის შესახებ აცხადებს. 7 აგვისტოსთვის საქართველოში ჩამოსვლას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი იური პოპოვიც გეგმავს;6 აგვისტო - ოსმა სეპარატისტებმა სოფლების - ერედვის, ფრისის, ავნევის, დვანის და ნულის დაბომბვა დაიწყეს. 7 აგვისტო — ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადიან. ვრცელდება ინფორმაცია, რომ კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად ქართული მხრიდან 27 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეებიც. 7 აგვისტოს დადგომასთან ერთად კი, დიალოგის ნაცვლად, მასშტაბური საომარი მოქმედებები იწყება. ამავე დღეს დაპირისპირებაში რუსეთის საჯარისო შენაერთები, მათ შორის 53-ე არმია ოფიციალურად ერთვება. ამასთან, რუსების შეტევა კონფლიქტის ზონას გასცდა და მთელ საქართველოს მოედო. 8-12 აგვისტოს მოვლენების ქრონოლოგია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემების თანახმად, ასე გამოიყურება: 8 აგვისტო - რუსულმა სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავმა სოფელ შავშვების მიმდებარე ტერიტორიაზე 3-5 ჭურვი ჩამოაგდო; რუსულმა СУ-24-მა დაბომბა ქარელის რაიონის სოფელი ვარიანი, რომელიც თბილისიდან დასავლეთით 75 კილომეტრში, კონფლიქტის ზონის გარეთ მდებარეობს. შედეგად, 7 სამოქალაქო პირი დაშავდა; 6 რუსული ხომალდიდან ორმა ჩამოყარა სამი ჭურვი გორში, რომელთაგან ერთი ჩამოვარდა სტადიონთან ახლოს, მეორე - გორიჯვარის დაღმართზე და მესამე - საარტილერიო ბრიგადის მიმდებარე ტერიტორიაზე; რუსული სამხედრო თვითმფრინავები საქართველოს საჰაერო სივრცეში გორის სამხრეთით მდებარე თეძამის მიმართულებიდან შემოვიდნენ, ორი ჭურვი ვაზიანის სამხედრო აეროპორტში ჩამოაგდეს და უკან გაბრუნდნენ; რუსულმა სამხედრო ავიაციამ მარნეულის სამხედრო ბაზა სამჯერ და ბოლნისის სამხედრო ბაზა დაბომბა. ორი თვითმფრინავი განადგურდა. დაინგრა შენობა-ნაგებობები და არის მსხვერპლი; 5 რუსული ავიაგამანადგურებლის მიერ გორის საარტილერიო ბრიგადა დაიბომბა; 9 აგვისტო - დაიბომბა ფოთის პორტი, ჩაიძირა ერთი ჰიდროგრაფიული ხომალდი; სენაკის სამხედრო ბაზაზე მნათობი ჭურვები ჩამოვარდა. 1 სამხედრო მოსამსახურე და 5 რეზერვისტი დაიღუპა. აგრეთვე დაიბომბა სენაკის რკინიგზის სადგური, დაღუპულია რვა ადამიანი. კვლავ დაიბომბა ვაზიანის პოლიგონი. მეორედ დაიბომბა საპორტო ქალაქი ფოთი; დაიბომბა გარდაბნის რაიონის სოფელი გაჩიანი, მაგრამ ნავთობსადენი არ დაზიანებულა; ქუთაისიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული კოპიტნარის აეროდრომი რუსული სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავების მიერ დაიბომბა; რუსეთის საჰაერო ძალები გორის დაბომბვას აგრძელებენ; კვლავ დაიბომბა კოპიტნარის აეროდრომი; რუსეთის საჰაერო ძალები თავს დაესხნენ ზემო აფხაზეთის (კოდორის ხეობა) გარკვეულ ადგილებს, მათ შორის სოფელ ომარიშარას აეროდრომს; დაიბომბა ონი. რუსული სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავების მიერ ჩხალთა, ზემო აფხაზეთის ადმინისტრაციული ცენტრი დაიბომბა. 10 აგვისტო - რუსულმა სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავებმა დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე დაღესტნის მხრიდან და სამი ბომბი თბილისის საავიაციო ქარხანაში ჩამოაგდეს; რუსული სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავების მიერ ზუგდიდის რაიონის სოფელი ურთა დაიბომბა; ათმა რუსულმა სამხედრო მოიერიშემ ზემო აფხაზეთზე თავდასხმა განახორციელა, ერთი მოიერიშე თვითმფრინავი საქართველოს სამთავრობო ჯარების მიერ ჩამოგდებულ იქნა; გორსა და ქარელს შორის მდებარე სოფელი შავშვები რუსული ავიაციის მიერ დაიბომბა; რუსულმა თვითმფრინავებმა ქარელის რაიონში სოფელი კნოლევი დაბომბეს; რუსულმა საჯარისო შენაერთებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა ზემო აფხაზეთზე შეტევა განახორციელეს. რეგიონი რუსული ავიაციის მიერ დაიბომბა; რუსული ავიაციის მიერ კვლავ დაიბომბა გორი; რუსულმა ავიაციამ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალის ხიდი დაბომბა. შედეგად ხიდზე ხანძარი გაჩნდა; რუსეთის ავიაციამ ჭურვები თბილისის სამოქალაქო აეროპორტში ჩამოყარა; საავიაციო ქარხანა "თბილავიამშენი" კვლავ რუსული ავიაგამანადგურებლების დაბომბვის ობიექტი გახდა; ორი ავიაგამანადგურებლის მიერ სენაკი დაიბომბა; ორმა რუსულმა ავიაგამანადგურებელმა კოდორის ხეობა დაბომბა. 11 აგვისტო - გორის დასავლეთით, სოფელ შავშვებში სამოქალაქო მიმოსვლის სარადარო სადგური დაიბომბა; რუსულმა ავიაგამანადგურებლებმა კოდორის ხეობა დაბომბეს (ზემო აფხაზეთი); რუსულმა თვითმფრინავებმა ბათუმთან ახლოს მდებარე სოფლები შარაბიძეები, კაპანდიჩი და მახო (საქართველო-თურქეთის საზღვართან) დაბომბეს. დაზიანდა სოფლების შემოგარენი და სასაფლაო; ხელვაჩაურში მდებარე სამხედრო ბაზის ტერიტორიული ერთეული (საქართველო-თურქეთის საზღვართან ახლოს) დაიბომბა; დაიბომბა კოდორის ხეობა; საქართველოს საჰაერო ძალების მთავარი საკონტროლო ცენტრი დაიბომბა; სამოქალაქო სარადარო სადგური, განლაგებული თბილისიდან 5 კილომეტრში სოფელ ლენინისში, ნაწილობრივ იქნა დაზიანებული რუსული ავიაგამანადგურებლების დაბომბვის შედეგად; რუსული ავიაგამანადგურებლებით დაიბომბა ქვეყნის აღმოსავლეთით დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე შირაქის აეროდრომი; დაიბომბა გორის სატანკო ბატალიონი, დაზიანდა ახლოს მდებარე საცხოვრებელი კორპუსი; სენაკის აეროპორტის ასაფრენი ბილიკი და სენაკის სამხედრო ბაზა დაიბომბა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ. 12 აგვისტო - რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა გორის ცენტრალური მოედანი და ბაზარი დაბომბეს.

12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტის, ევროკავშირის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, რუსეთ-საქართველოს შორის ცეცხლის განუახლებლობის შესახებ 6-პუნქტიანი ხელშეკრულების გაფორმებაზე შეთანხმდნენ. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ჯარები 2008 წლის 7 აგვისტომდე მდგომარეობას უნდა დაბრუნებოდნენ, თუმცა რუსეთი ე.წ. "მედვედევ-სარკოზის'' შეთანხმებას ამ დრომდე არ ასრულებს.

იმავე დღეს პარლამენტში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ აქტის მზადება დაიწყო. საქართველოს მიერ დსთ-ის დატოვებაც 12 აგვისტოს მოხდა.

იმავე დღეს საქართველოს მთავრობამ ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში შეიტანა სარჩელი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მის მიერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიაზე 1993-2008 წლებში ჩადენილ ეთნიკური წმენდის ფაქტებთან დაკავშირებით. სარჩელი გაერო-ს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებას ეფუძნება და ამტკიცებს, რომ ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული საქართველოში 2008 წელს განხორციელებული სამხედრო ინტერვენციით დამთავრებული, რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული ძალების მიერ ქართველთა ეთნიკურ წმენდას, იარაღის მიწოდების, ჯარისკაცების დაქირავებისა და რუსეთის კუთვნილი შეიარაღებული ძალების მიერ პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის განხორციელების გზით უწყობდა ხელს, რასაც შედეგად ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულები მოჰყვა.

რუსეთმა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 26 აგვისტოს აღიარა.

2008 წლის 1 სექტემბერს კი ქართველებმა როგორც მთელი ქვეყნის, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ რუსული აგრესიის წინააღმდეგ პროტესტში ერთობის დემონსტრირება "ცოცხალი ჯაჭვის" მეშვეობით მოახდინეს.

მონატრება

ზურაბ (კალიჩი) თარაშვილი



ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ამბობენ, ღმერთს გამორჩეული ადამიანები მიჰყავს თავისთანო, ასე ყოფილა მართლაც.

სიტყვები უძლურია შენს სიკეთეზე და სითბოზე სასაუბროდ. 13 აგვისტო ჩვენთვის შემზარავი დღე იყო. დაგვტოვე და წახვედი ძვირფასო, მხოლოდ ნაღველი და ტკივილი დაგვიტოვე. ძნელია უშენობა. ვიგონებთ შენთან გატარებულ წლებს, საათებს, წუთებს... ვიცით, არასდროს აღარ მოხვალ ჩვენთან, მხოლოდ ტკივილიანი მოგონება დაგვრჩა.

17 აგვისტოს ხომ შენი დაბადების დღეა. ამ დღეს შენ მოგიძღვნით ყველა გრძნობას- მონატრებას, პატივისცემას და დიდ სიყვარულს. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან გვენატრები ყველას: მეუღლეს, შვილებს, რძალს, შვილიშვილებს...

მართლაც წუთი ყოფილა წუთისოფელი, რადგან შენისთანა ძვირფასი ადამიანები მიდიან ჩვენგან. სიცარიელე, რომელიც შენს ადგილზე რჩება, მარად ამოუვსებია. ძალიან ძნელია წარსულში შენზე ლაპარაკი, ჩემო ძვირფასო მამა. ენერგიული და საკუთარ საქმეზე შეყვარებული ადამიანი იყავი.

დადუმდა ჩვენი ოჯახი უშენოდ, თურმე შენ მოგქონდა ხალისიც და სიხარულიც. შენ იყავი ოჯახის მამოძრავებელი ძალა. რამდენი რამ დაგრჩა განუხორციელებელი. მხოლოდ მოგონებებით ვიკლავთ შენს მონატრებას.

17 აგვისტოს მოვალთ შენს საფლავზე. მოვეფერებით ქვაზე გაყინულ შენს სახეს, მაგრამ ცივ მარმარილოს არ ექნება მგრძნობელობა. მოგიტანთ ცრემლით დანამულ ყვავილებს, აგინთებთ სანთლებს, ვილოცებთ შენი სულის უკვდავსაყოფად. გვჯერა, რომ იმქვეყნიურ სასუფეველშიც კარგად იქნები შენი უსაზღვრო სიკეთის გამო.

შენი შვილი ნონა

ი ყ ი დ ე ბ ა !

500 ლიტრიანი ყურძნის დასაწური მუხის კასრები-4 ცალი, 22 ლიტრიანი მინის „შტოფები". ფასი შეთანხმებით.
მსურველები დაგვიკავშირდით:
599 22 54 13, 579 17 08 12.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება კომერციული ფართი 281 კვ. მეტრი ქ.დედოფლისწყაროში, პუშკინის ქუჩა N9 (ბენზინგასამართ „სოკარის" მიმდებარე ტერიტორიაზე). დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მობილური ტელეფონის შემდეგ ნომრებზე: 593 763004; 558 611 406.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით.
მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ:
577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

თენგიზი და ნუნუ, ლევანი და თაკო, ირაკლი და თამუნა მარტყოფლიშვილები ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეზობლის,

ილია ქადაგიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ზაური მარტყოფლიშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ილია ქადაგიძის

ტრაგიკული გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

სოსო გოგაშვილი, ომარ ალადაშვილი, ბერდო ნასრაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, გიორგი გონაშვილი, მზია ნატროშვილი, გურამ ნიკოაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, გივი ლომიძე თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ, ნინო, მარიკა გონაშვილებს დედის, გიორგი, ლაშა, გიორგი გონაშვილებს ბებიის

ლილი გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

სახალხო დღესასწაული დედოფლისწყაროში

2 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საეკლესიო და სახალხო დღესასწაული ელიათობა და "დედოფლისწყაროობა" ერთად აღინიშნა.

წმ. ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა დიმიტრი (კაპანაძემ) აღავლინა. ამის შემდეგ, დღესასწაულმა ელიის ნაძვნარში გადაინაცვლა, სადაც ქართულ ჭიდაობაში ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა და მასში სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

საღამოს დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე გამართულ ღონისძიებაზე თანხით და სიმბოლური საჩუქრებით დაჯილდოვდნენ სპორტსმენები, რომლებმაც დედოფლისწყაროობიდან დედოფლისწყაროობამდე პერიოდში თავი გამოიჩინეს სპორტული მიღწევებით რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო დონეზე.

შემდეგ, ტრადიციულად, დედოფლისწყაროს საპატიო და წარმატებული მოქალაქეები დასახელდნენ. **დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ: მწვრთნელს, მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებულ 6 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანს** ᲗᲐᲛᲐᲖ ᲧᲐᲠᲐᲒᲕᲖᲐᲨᲕᲘᲚᲡ; **ჟურნალისტს** ᲙᲚᲐᲠᲐ ᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲡ; **პედაგოგებს** — ᲛᲔᲠᲘ ᲞᲝᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲜᲐᲜᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ.

წარმატებული მოქალაქეები გახდნენ: **პედიატრი** მარინა ხარაშვილი; **ჟურნალისტი** ნაირა გორაშვილი; **ღვაწლმოსილი პედაგოგები** — ნანული ნატროშვილი, სვეტლანა შალვაშვილი და ჯულეტა პოპიაშვილი; **ღვაწლმოსილი ექიმი** — გულნარა პოპიაშვილი; **ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვარი** — გელა ლოგჯანიძე; **პოეტი** — ზაურ გონაშვილი; **ჟურნალისტი, ტელეგადაცემა „დედოფლისწყაროს საათის" წამყვანი** — ილია მარტყოფლიშვილი; **ბიზნესმენი და მეცენატი** — ვახტანგ კიკილაშვილი; **დედოფლისწყაროს კოლორიტი** — ნანა ჭიჭინაძე; **ანსაბლ „ჰერულას" წევრი** — გიორგი პაპიაშვილი და **მრავალშვილიანი დედა** — ნინო ლოლაშვილი.

გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: დებმა ლოლაშვილებმა, ანსაბლმა „ალილომ", ლაშა ღლონტმა, მაკა ზამბახიძემ, ნოდიკო ტატიძვილმა, ირინა ბაირამაშვილმა, ქეთი გომართელმა, ტატო გოდერძიშვილმა და ნათია ქოროლლიშვილმა.

კონცერტი გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა. ღონისძიების შემდეგ ჩვენ რამდენიმე წარმატებულ ადამიანს გავესაუბრეთ:

ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲞᲝᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. – ძალიან ვღელავ, ეს წოდება ჩემთვის დიდი პატივია. მადლობელი ვარ, ჩემი ათწლეულობით ავადმყოფის სასთუმალთან გათენებული ღამეები რომ დაფასდა. მრავალი ჯილდო მაქვს მიღებული როგორც რაიონულ დონეზე, ისე ჯანდაცვის სამინისტროდან, მაგრამ ეს განცდა მაინც სულ სხვაა. გმადლობთ, რომ ჩემი თაობის ადამიანები გახსოვთ და აფასებთ და არც ახალგაზრდების ნახალისება გავიწყდებათ. ყველას სახელით მადლობას ვიხდი.

ᲚᲙᲐᲠᲐ ᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ჩემთვის ორმაგად საზეიმო დღეა. რამდენიმე საათის წინ ჩემს მეუღლესთან– გუგული ალადაშვილთან ერთად ქორწინების 60 წლისთავი ვიზეიმე. ახლა კი ეს ჯილდო, რომელიც ძალიან გამეხარდა. დალოცვლები იყავით ყველა!

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ. – ძალიან კმაყოფილი ვარ, ჩემი შრომა რომ დააფასა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ. ეს მარტო ჩემი ჯილდო არ არის, ეს მთელი ჩემი პატარა, მაგრამ ერთ მუშტად შეკრული ძველი და ახალი თანამშრომლების ჯილდოცაა, რომლებთან ერთადაც მოვდივარ მეხუთე ათეული წელია. მათთან ერთად ბევრი დაუძლეველი სიძნელე გადამილახავს, გამიხარია წარმატებებით, ერთად გვიბრძოლია, გვიშრომია და დღემდე მოგვიტანია უკვე „ქაღარა", 78 წლის „შირაქი". ბევრი ღამე გვითენებია სტრიქონთან ჭიდილში, ზოგადად, ადვილი საქმე არ არის ჟურნალისტობა, და მით უმეტეს რაიონში. მადლობა ყველა დროის რაიონის ხელმძღვანელებს, ვინც ხელს გვიწყობდა, რომ გაზეთი შეგვენარჩუნებინა. მადლობა გამგეობას და მის თავკაცს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, მადლობა საკრებულოს თავმჯდომარეს ზვიად ჯავახიშვილს ამ დაფასებისათვის. უპირველესი მადლობა კი კახეთის დღევანდელ გუბერნატორს, დედოფლისწყაროს ყოფილ გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს, რომელმაც სამი წლის წინ საფუძველი ჩაუყარა ამ დღესასწაულს, დააწესა ჯილდოები და საპატიო წოდებები და ამით საზოგადოებას დაანახა, რომ კეთილსინდისიერი და თავდადებული შრომა უკვალოდ არ ქრება. ბევრი ჯილდო მაქვს მიღებული ჩემი შრომითი საქმიანობის 55 წლის მანძილზე, მაგრამ დღეს გამორჩეულად ბედნიერი ვარ.

ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

60 წელი ერთ უღელში

ამაგი დაუფასეს შვილებმა კლარა ოზაშვილს და გუგული (მიხეილ) ალადაშვილს. ალეკო და ლალი ალადაშვილების ინიციატივით 2 აგვისტოს გასართობი ცენტრის „ლაბირინთი" დარბაზში თავი მოიყარეს ქალბატონი კლარას და ბატონი გუგულის შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა, მეზობლებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა, კოლეგებმა. ისინი ერთმა სურვილმა გააერთიანა – იუბილარებს თანაცხოვრების 60 წლისთავი მიულოცონ. ქორწინებიდან 60 წელი ყველას ხვედრი როდია. ამიტომ ეწოდება ამაგი დაუფასეს შვილებმა კლარა ოზაშვილს და გუგული (მიხეილ) ალადაშვილს. ალეკო და ლალი ალადაშვილების ინიციატივით 2 აგვისტოს გასართობი ცენტრის „ლაბირინთი" დარბაზში თავი მოიყარეს ქალბატონი კლარას და ბატონი გუგულის შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა, მეზობლებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა, კოლეგებმა. ისინი ერთმა სურვილმა გააერთიანა – იუბილარებს თანაცხოვრების 60 წლისთავი მიულოცონ. ქორწინებიდან 60 წელი ყველას ხვედრი როდია. ამიტომ ეწოდება

მას ბრილიანტის წლისთავი. ამ დიდ გზაზე იუბილარებმა ღირსეულად ატარეს მეუღლეობის უღელი – შექმნეს შესანიშნავი ოჯახი, გაზარდეს ორი საუკეთესო შვილი. 6 შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი ირიცხება მათი დიდი და ბედნიერი ოჯახის სიაში. მართლაც, რომ სიტყვა „ბედნიერი" სწორად მიგნებული ზედსართავია, რომელიც მათ მდგომარეობას სრულად შეესაბამება. თვალ-ტანად მშვენიერი, გონიერი, განათლებული, პერსპექტიული და ჯანმრთელი შთამომავლობა გყავდეს და 86-89 წლის ასაკში შენც გონებაც გემორჩილებოდეს, ფეხზე იდგე თითქმის უტკივარ-უკვნესელი (წვრილ-წვრილ რაღაცეებს თუ არ ჩავთვლით) და ხარობდე შენი ოჯახის ყველა წევრის სიცოცხლით, წარმატებით, ბედნიერებაა, აბა, რა არის!

ცხოვრების და შრომის დიდი გზაც გაიარეს მეუღლეებმა. ბატონი მიხეილი, იგივე გუგული, განათლებით, ფინანსისტია; წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას, რაიკავშირს, სახელმწიფო დაზღვევას, სტატისტიკის სამმართველოს. სულ „დიდი კაცი" იყო და თავისი წვლილი შეჰქონდა იმდროინდელი ქვეყნის სიძლიერეში. ქალბატონი კლარა, იგივე თინათინი, სპეციალობით აგრონომია, მაგრამ ამ დარგში არ უმუშავია. თავისი აქტიური და ენთუზიაზმით სავსე ცხოვრების სტილით, სულ საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში იყო მოქცეული. შირაქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და ელევატორში ხანმოკლე მუშაობის შემდეგ, 40 წელი გაზეთ „შირაქის" რედაქციაში გაატარა. იყო რადიორედაქტორი, მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე, კორესპონდენტი და სამსახურის სული და გული. ინიციატივიანი, ხალისიანი, მეგობრული და დიდ-პატარის საუკეთესო მცოდნე. ყველასათვის სასურველი თანამშრომელი გახლდათ. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის გაზაფხულზე ის დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, მაინც რედაქციის ცხოვრებით ცხოვრობს, ჩვენი ლხინისა და ჭირის მოზიარეა და, როგორც თავად ამბობს, უჩვენოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. საერთოდაც, მისი „საყვარლების სიაში" ასეულობით ადამიანი წერია. სიკეთე და ბედნიერება ემეტება ყველასთვის. ამიტომ დააფასა ყველამ, ვისაც კი ხმა მიანდინა, ყველა მოვიდა და სიხარულით გაიზიარა ამ გამორჩეული წყვილის ბედნიერი დღე. ყველაზე მეტად მაინც უფროსი შვილიშვილი-მაკას სტუმრობამ გაახარა ყველა. ის საფრანგეთიდან თავის იტალიელ მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოფრინდა. დარბაზში სიხარული და სიყვარული იფრქვეოდა, ჟღერდა მუსიკა და ილხენდა ყველა. ამ დღეს კიდევ ერთი სამახსოვრო მოვლენა დაერთო თან. გასულ წელს, დედოფლისწყაროობის ზეიმზე ქალბატონ კლარას „წარმატებული დედოფლისწყაროელის" წოდება მიენიჭა, ნელს კი ის „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის" ტიტულით დაჯილდოვდა.

ღმერთმა ბედნიერება და სიკეთე არ მოგაკლოთ. გაიხარეთ თქვენს დიდ, ლამაზ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. ქორწინების 100 წლისთავს, ანუ „ნითელ ქორწილს" დასწრებოდით!

გვიყვარხართ, გეფერებით და გილოცავთ!

თქვენი „შირაქელები"

ქვემოთ გთავაზობთ ქორწინების წლისთავების სახელწოდებებს, ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ და ჩაგაფიქრებთ.

1 წელი - ჩითის ქორწილი	15 წელი - შუშის ქორწილი
2 წელი - ქაღალდის ქორწილი	20 წელი - ფაიფურის ქორწილი
3 წელი - ტყავის ქორწილი	25 წელი - ვერცხლის ქორწილი
4 წელი - ჭილოფის ქორწილი	30 წელი - მარგალიტის ქორწილი
5 წელი - ხის ქორწილი	35 წელი - მარჯნის ქორწილი
6 წელი - თუჯის ქორწილი	40 წელი - ლალის თვლის ქორწილი
7 წელი - სპილენძის ქორწილი	50 წელი - ოქროს ქორწილი
8 წელი -თუნუქის ქორწილი	55 წელი - ზურმუხტის ქორწილი
9 წელი - ფაიფურის ქორწილი	60 წელი - ბრილიანტის ქორწილი.
10 წელი - კალის ქორწილი	65 წელი - რკინის ქორწილი
11 წელი - ნიკელის ქორწილი	70 წელი - ნაყოფიერების ქორწილი
12 წელი - ნიკელის ქორწილი	75 წელი - გვირგვინოსანი ქორწილი
13 წელი - მაქმანებიანი ქორწილი	80 წელი - მუხის ქორწილი
14 წელი - აგატის ქორწილი	100 წელი - ნითელი ქორწილი

ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲑ!

ᲙᲚᲐᲠᲐ ᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲡ!

ᲒᲣᲒᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ!

თენგიზ და თემურ ჯალიაშვილები ოჯახებით ვულოცავთ ქორწინებიდან 60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს და სიყვარულს შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად.

ᲗᲘᲜᲘᲙᲝ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ!

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲫᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲡ!

გილოცავთ ვაჟიშვილის დაბადებას, ახალდაბადებულებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ნათელ მომავალს, თქვენ კი სიყვარულით შექმნილი ოჯახის უღელი მსუბუქად გეტარებინოთ ათეული წლების მანძილზე.

გისურვებთ აკვანთა სიმრავლეს!

გკოცნით და გეფერებით ბენაშვილები

სიყვარულითა და პატივისცემით: პაპა ᲨᲣᲨᲐᲜᲒᲘ, **ბიძები:** ᲑᲔᲭᲜᲐ, ᲔᲛᲖᲐᲠᲐ, ᲖᲐᲖᲐ; **მამიდები:** ᲚᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ **ოჯახებით.**

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ

ორშაბათი 10.08		სამშაბათი 11.08		ოთხშაბათი 12.08		ხუთშაბათი 13.08		პარასკევი 14.08		შაბათი 15.08		კვირა 16.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
27 °	22 °	25 °	24 °	26 °	24 °	26 °	25 °	28 °	27 °	28 °	26 °	27 °	24 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რედაქტორი **ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲞᲝᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ᲚᲐᲚᲘ ᲛᲔᲮᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲢᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ჟურნალისტები) ; ᲔᲚᲖᲐ ᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (სტილისტ-მენეჯერი); ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲞᲝᲡᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ბუღალტერი) ; ᲜᲘᲐᲖᲘ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ოფის-მენეჯერი) ; ᲛᲖᲘᲐ ᲫᲘᲜᲫᲘᲫᲔ (დისტრიბუტორი); ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲣᲬᲣᲛᲕᲘᲚᲘ (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K